საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 117 (919) ოთხშაბათი, 29 ივნისი, 1994 წელი ფასი 10000 კუპონი

კომენდანტის საათი ზუგდიდის რაიონში

რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების სარდლობამ მიიღო მიმართვა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ყველა მცხოვრებისადმი, რომლის ტექსტიც რამდენჯერმე გადასცა ზუგდიდის ტელეკომპანია „ოდიშმა“.

მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მდინარე ენგურის ორივე მხარეს 12 კილომეტრი სიგანის უსაფრთხოების ზონაში მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარების მიზნით, 27 ივნისიდან წესდება კომენდანტის საათი 22 საათიდან დილის 6 საათამდე. ამ მიზნით, ყველა მცხოვრებმა, რომლებსაც იარაღი აქვთ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გარდა, უნდა ჩააბარონ ეს იარაღი ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამშვიდობო ჯარების კონტინგენტის წინაშე დასახულია ამოცანა, არ დაუშვას კონფლიქტის ზონაში იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გატანა და გამოტანა შესაბამისი ნებართვის აუღებლად.

რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბი გაფრთხილებას იძლევა, რომ კონფლიქტის ზონაში თუ ბანდიტური ფორმირებები გამოჩნდებიან, მიიღებენ ზომებს მათი დაკავებისათვის, ხოლო სამშვიდობო ძალების სარდლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში — ბანდიტურ ჯგუფებსა და ფორმირებებს ცეცხლით გაანადგურებენ.

სამშვიდობო ძალების სარდლობა ყველა მოქმედებას შეუთანხმებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და სამშვიდობო ძალების მისიის შესრულებაში ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთგაგებისა და დახმარების იმედი აქვს.

განახლდა აღდგენითი სამუშაოები

27 ივნისს დილით ქართველი ხიდმშენებლები განაგრძობდნენ აღდგენით სამუშაოებს მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდზე. ეს სამუშაოები შეწყდა 19 ივნისს, აფხაზთა მხარის დაჟინებული თხოვნით. და ბოლოს, ორშაბათს მიღწეული მორიგების შესაბამისად, კონცერნ „საქავტოგზის“, მცხეთის ხიდსაშენებელი სამმართველოსა და ზუგდიდის საგზაო სამმართველოს სპეციალისტებმა განაახლეს მუშაობა ხიდის 25-მეტრიანი მალის აღდგენისათვის. საღამოს რუსეთის მესანგრეებმა მოახდინეს საავტომობილო ხიდის ერთ-ერთი მალის საყრდენი კედლის ორი დაგეგმილი ტექნიკური აფეთქება.

ორშაბათიდან რუსეთის სამშვიდობო ქვედანაყოფებმა თავიანთ სრულ კონტროლს დაუქვემდებარეს ენგურის საავტომობილო ხიდი და საკონტროლო-გამშვები პუნქტები ხიდის ორივე მხარეს.

თენგიზ პაჭკორია,
თამარ მოლაშვილი.

მიეძღვნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას

28 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას.

მეთაურთან გამართულ თათბირზე შეაჯამეს შესრულებული მოსამზადებელი სამუშაოები, საბოლოოდ დააზუსტეს დეტალები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის საანგარიშო სიტყვიდან ნათელი გახდა, რომ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის მართლაც სერიოზული სამზადისი მიმდინარეობდა. ყველა უწყებრივი სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელებიც თათბირს ესწრებოდნენ, მზად არიან, რათა სტუმრები მაღალ დონეზე მიიღონ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ შეხვედრის უდიდეს მნიშვნელობას. თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოში შესაძლებელი გახდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრება, იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკაში სტაბილიზაციის პროცესი აქტიურად ვითარდება. ეს კი გზას უხსნის უცხოელ ინვესტორებსა და ბანკირებს საქართველოში თამამად დააბანდონ კაპიტალი. ასეთი სახის პოლიტიკური შეხვედრა ჩვენში პირველად იწყობა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

საკონსტიტუციო-სარედაქციო კომისიის სხდომა

27 ივნისს გაიმართა საქართველოს საკონსტიტუციო-სარედაქციო კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა სახელმწიფოს მეთაური — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სარედაქციო კომისიის ამ შეხვედრას დიდი მოსამზადებელი მუშაობა უძღოდა წინ. განხილული და შეჯერებულია სხვადასხვა პარტიებისა და კომპეტენტური ორგანიზაციებიდან შემოსული პროექტები, ცალკეული შენიშვნები და წინადადებები. ფართოდ იქნა გაზიარებული მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება, რისთვისაც კომისიის მუშაობაში მოზიდული იყვნენ უცხოელი სპეციალისტები, ხოლო მათი ქართველი კოლეგები ამავე მიზნით არაერთხელ იყვნენ მივლინებული საზღვარგარეთ.

საკონსტიტუციო-სარედაქციო კომისიაში შემოსული ყველა მოსაზრება და წინადადება ერთი თვალსაზრისით იქნა განხილული — შემუშავებულიყო კონსტიტუციის პროექტი — საქართველოს დღევანდელი და ხვალინდელი დღისათვის ყველაზე უფრო მისაღები ვარიანტი. სხდომის მონაწილეთა საერთო აზრით, საქართველოს მომავალი კონსტიტუციის პროექტით, რომელშიც შენარჩუნებულია 1921 წლის კონსტიტუციის სტრუქტურა და მისი ძირითადი დებულებების განვითარებას წარმოადგენს, გათვალისწინებული იქნება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი, მოქალაქეთა და ეროვნებათა უფლებები, სამართლებრივი სტრუქტურა, პოლიტიკური თავისუფლება, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმობა სახელმწიფოს კონსტიტუციურ რეგულირებას.

შესრულებულია სერიოზული სამუშაო, რომელიც საკონსტიტუციო-სარედაქციო კომისიას საქართველოს მომავალი კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტზე მუშაობის სოლიდურ საფუძველს უქმნის.

ცხინვალელი ოსები ინიციატივას იჩენენ

— **ცხინვალის** ზონაში ქართველებსა და ოსებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენას მზაკვრული ხერხებით ებრძვიან სხვადასხვა ჯურის პროვოკატორები, მათ რიცხვში არიან ქართველებიც და ოსებიც, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქ გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ზურაბ წკრიალაშვილმა. — როგორც კი დაიწყო პოლიტიკური ვითარების მოწესრიგება, პროვოკატორებმა ამაზრზენი მკვლელობა ჩაიდინეს ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის გასამწვავებლად. ჩვენი ძალებით ყველაფერს ვაკეთებთ დაძაბულობის გასანეიტრალებლად. ვცდილობთ, კვლავ დავეხმაროთ დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მოსახლეობას.

დღეისათვის გორის რაიონში სტაბილური ვითარებაა. საგრძნობლად იკლო სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებმა. მუშაობენ სამრეწველო საწარმოები, არის ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, მოსახლეობას ვაწვდით ნორმირებულ პურს და სხვა პროდუქტებს. გორი ტრადიციულ კულტურულ ცხოვრებას უბრუნდება.

პირადი კონტაქტების ამოქმედებით ოსებთან ურთიერთობას თანდათანობით ვაგვარებთ. პროვოკატორებს მალე ჩამოეხსნებათ ნიღაბი და ხალხი დაინახავს ვინ ვინ არის. ქართველებსა და ოსებს შორის იყო და კვლავ იქნება კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ვლადიკავკაზში გამართული შეხვედრები სასურველ შედეგს გამოიღებს. ცხინვალელი ოსები ინიციატივას იჩენენ ჩვენთან ტრადიციული მეგობრობის აღსადგენად, — დასძინა გორის გამგებელმა.

რეზო კლდიაშვილი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ზუგდიდის № 8/67 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს ზუგდიდის № 8/67 საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის **ოთარ ფაცაციას** უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი. 1994 წლის 28 ივნისი.

ქალი და კაცი პარლამენტში

არის ერთი უბრალო სიტყვა: ბოდიში, რომელთანაც ბევრი, რატომღაც, მწყრალად არის. რატომ, არ ვიცი, მაგრამ ვერაფერი მოსაწონი თვისება რომ არის, ეს კარგად ვიცი. არადა, როგორ ამშვენებს და ამაღლებს იგი წარმომთქმელს. თუმცა, კაცია და გუნებაა: უნდა მოიხდის ბოდიშს, უნდა — არა.

სამწუხაროდ, ჩვენს პარლამენტში საბოდიშოდ ხშირად იხდიან საქმეს, ბოდიშს კი... ხშირადვე საჭიროდ არ თვლიან. ასე იყო გუშინაც. იმის გამო, რომ პარლამენტარმა თედო პაატაშვილმა ბოდიში არ მოუხადა პარლამენტარ ლანა ღოღობერიძეს, ქალბატონმა ლანამ სხდომა მიატოვა. სამწუხაროდ, ქალისა და კაცის ღირსებათა ურთიერთშელახვის ფაქტი პარლამენტში იშვიათი არ გახლავთ.

რატომ გაიხადა საბოდიშოდ საქმე დეპუტატმა კაცმა, არავინ იცის. ის, რაც დეპუტატმა ქალბატონმა მისგან შეურაცხყოფად მიიღო, მისთვის საჯაროდ არ უთქვამს, მხოლოდ ყურში ჩაჩურჩულა.

მანამდე კი იყო განცხადებები დღის წესრიგთან და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით. ვნებათაღელვა კი თედო პაატაშვილისა და ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის ურთიერთშელაპარაკებამ გამოიწვია. რეპლიკები ისე გამწვავდა, ზოგიერთმა პარლამენტარმა სხდომათა დარბაზიც დატოვა. დეპუტატმა ჯაბა იოსელიანმა კი, როგორც საგანგებო მდგომარეობის კომიტეტის თავმჯდომარემ, წესრიგის დამყარების საბაბით, საგანგებო უფლებების მინიჭება მოითხოვა.

ოპოზიციამ კვლავ მოითხოვა დღის წესრიგში ხელისუფლების საკითხის განხილვის შეტანა, რასაც სახელობით ეყარა კენჭი, მაგრამ არ გავიდა (ესწრებოდა 153 დეპუტატი, 50 მომხრე იყო, 99 — წინააღმდეგი). პარლამენტმა ღია კენჭისყრით ცნო 12 ივნისს ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქებში არჩეული დეპუტატების: ოთარ ფაცაციას, ვალერი ჰანტურიასა და ავთანდილ ტყებუჩავას უფლებამოსილება. პარლამენტარებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ასევე, პარლამენტის დადგენილებით ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შევიდა დეპუტატი ამირან ქამაკაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში კი — რომან ხიზანიშვილი და ამირან ტაკიძე.

დღის პირველ ნახევარში პარლამენტის წინაშე წარსდგა რუსთავის მერი ხოხო არეშიძე, რომელმაც განმეორებითი არჩევნების თარიღის გადატანა ითხოვა (იგივე თხოვნა 24 ივნისის სხდომაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა), რადგან რუსთავში ამჟამად არჩევნების ობიექტურად და სრულყოფილად ჩატარების პირობები არ არსებობს.

სხდომის დღიური

დეპუტატმა თენგიზ კიტოვანმა კი პარლამენტს ის მასალები წარუდგინა, რომლის თაობაზეც საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. დოკუმენტში ჩამოთვლილია რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტისა და მის მხარდამჭერთა მიერ ჩადენილი დანაშაულობები. მათ შორის მურმან ომანიძისაც.

ვინაიდან არჩევნების დანიშვნა მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა და არა პარლამენტისა, გადაწყდა პარლამენტი რეკომენდაციით შევიდეს საარჩევნო კომისიაში, რათა ხელახლა განიხილონ არჩევნების მოწყობის დრო.

დღის მეორე ნახევარში კვლავ ბიუჯეტსა და საკრედიტო ემისიაზე იყო მსჯელობა. თავიანთი სათქმელი თქვეს: პრემიერმა ოთარ ფაცაციამ, ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ, ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა. დადგენილების პროექტს, რომელიც სამ ძირითად საკითხს — წლის ბიუჯეტის განხილვას, საკრედიტო ემისიასა და იმ კომისიის შექმნას შეიცავს, რომელმაც გამოყოფილი კრედიტის ხარჯვა უნდა აკონტროლოს, ხუთშაბათს ცალ-ცალკე უყრიან კენჭს.

დღის მიწურულს დეპუტატმა ნანა დევდარიანმა წაიკითხა განცხადება, რომლითაც „ლიბერალების“ ფრაქციის დამოკიდებულება გამოხატა დილის სხდომაზე ლანა ღოღობერიძესა და თედო პაატაშვილს შორის მომხდარი ინციდენტის გამო. განცხადებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ ამგვარი უხეში გამოხდომები პარლამენტში იშვიათი არ არის და უკვე აუტანელი ხდება.

სხდომა თითქმის ისეთივე მღელვარებით დამთავრდა, როგორც დაიწყო. ეს კი გამოიწვია საპარლამენტო კომისიის მიერ მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით ალექსი კობაიძის მიერ გაკეთებულმა ინფორმაციამ აფხაზეთის ალორძინების საერთაშორისო ფონდის საქმიანობის შესახებ.

პარლამენტარები გვიან საღამოს დაიშალნენ.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„[illegible]“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

განგაში

ეს არც ზმანებაა და არც ჰალუცინაცია

თუ ასე გაგრძელდა, არ გვექნება გაზი, არ გვექნება ელექტროენერგია, წყალი, პური და...

მომავალი ზამთარი შარშანდელზე მკაცრი იქნება. ეს მუქარა არ გახლავთ, რეალობაა, ამას აქედანვე უნდა შევეგუოთ.

სავარძლებისთვის ბრძოლაში ჩაბმული ჩვენი ელიტარული საზოგადოების ნაწილი, მმართველი წრეები, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ და საერთო ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად არც ზრუნავენ (როგორც ჩანს, საათივით აქვთ აწყობილი თავიანთი საქმე). რაც უარესი, მით უკეთესი. ეს სკიპტრის ხელში ჩაგდების ნაცადი მეთოდია. ხალხი ახალი გვირგვინოსნის მოვლენამდე ყველაფერს აიტანს. მერე კი...

ბოლო წლების განმავლობაში რესპუბლიკაში ამ მიმართებით ყველაფერი გეგმაზომიერად ვითარდება, ამიტომაც მაფიოზური კლანების ხელში ჩავარდნილი, კუდის რიკამდე გატყავებული ქვეყანა სულს ღაფავს და ვალებში იღრჩობა.

დღეს საქართველოს მარტო ბუნებრივი გაზის საფასურად 800 მილიონი დოლარი თურქმენეთისათვის აქვს გადასახდელი. მაგრამ აქ მარტო ვალზე და დოლარებში არ გახლავთ საქმე. მომწოდებელი, თურქმენეთის რესპუბლიკა თითქმის ყველანაირ დათმობაზე წავიდა და გაზის სანაცვლოდ ჩვენგან ის პროდუქცია მოითხოვა, რომელსაც სხვაგან თითქმის ვერსად გავასაღებდით. მაგრამ ამასაც ვერ ან არ მოვაბით თავი და რესპუბლიკის ძვირფასეულობის მთლიანი მარაგი, ორასი კილოგრამი ოქრო საკუთარი ხელით ჩავიტანეთ თურქმენეთში, მაშინ, როცა თავის დროზე ისინი ერთ კილოგრამ ჩაიში ორ დოლარს გვიქვითავდნენ, ერთ ბოთლ „კოკა-კოლას“, „ბორჯომს“ დოლარად ანგარიშობდნენ. თითქმის ასე იყო სხვა პროდუქციაზეც, რომელიც სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით უნდა მიგვეწოდებინა მათთვის. პროგრამა რომ შესრულებულიყო და ეს პროდუქცია მათთვის დროულად გაგვეგზავნა, დღეს საქართველოს მხოლოდ 80 მილიონ დოლარამდე ბუნებრივი აირის ვალი ექნებოდა და დღის წესრიგში არ დაისმებოდა გაზის მოწოდება-არმოწოდების საკითხი, სახელმწიფო ხაზინიდან არც ნაღდი ოქროს გატანა დაგვჭირდებოდა. დღეს კი თურქმენეთის მხარემ ერთხელ უკვე საჯაროდ არაორაზროვნად გვითხრა, რომ სხვა მომწოდებელი გვეძებნა. ეს იყო გაფრთხილება. ისინი ჩვენი არც მამიდაშვილები არიან და არც დეიდაშვილები. ერთ მშვენიერ დღეს გადაკეტავენ გაზსადენს და...

რა იქნება მერე?! ამას დიდი წინასწარმეტყველება და ჯადოქრობა არ სჭირდება. არ იქნება გაზი, არ გვექნება ელექტროენერგია, მოსახლეობა ვერ მიიღებს წყალს, პურს, გაჩერდება ტრანსპორტი, მრეწველობა. მთლიანად მოიშლება სახალხო მეურნეობა, თავზე დაგვექცევა ყველაფერი. მავანნი, ხმამაღლა თუ არა გულში ხომ ამ დღეზე ოცნებობენ, ესეც ნათელია და არც ამის მიხვედრას უნდა სოლომონ ბრძენობა.

კარგად გამიგეთ. არ იფიქროთ, განგებ ვამუქებდე სურათს, ან პანიკას ვთესდე. ის, რაც მოგახსენეთ და რასაც ახლა ვიტყვი, მკაცრი სინამდვილეა და ეს რომ ასეა, ამას დეპარტამენტ საქგაზის თავმჯდომარე **დავით ელიაშვილიც** დამიმოწმებს.

— ჩვენსა და მომწოდებელს შორის იმდენად არის ვითარება დაძაბული, რომ ერთი ნერვის ძაფის გაწყვეტაღაა საჭირო და გაზსადენი ჩაიკეტება. და თუ ჩაიკეტა — აღარც გაიღება. თურქმენეთთან პირი შევირცხვინეთ. მერწმუნეთ, ჩვენ ბუნებრივი აირის უკეთეს მომწოდებელს ვერ ვიპოვნით. დარწმუნდნენ, რომ ჩვენი რკინიგზისა და საწარმოების გადამკიდე, დანაპირებ პროდუქციას ვერ ვუგზავნით, მაგრამ მაინც დათმობაზე მიდიან, იქიდან გვეხვეწებიან მათივე თვითმფრინავით გავუგზავნოთ ეს საქონელი (ბატონი დავითი აშხაბადიდან მოსულ წერილს მაწვდის, სადაც თურქმენეთის მხარე გვთხოვს ჩაუტვირთონ და გაუგზავნონ სხვადასხვა სახის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაწარმი. თვითმფრინავით ტრანსპორტირებას საკუთარ თავზე იღებენ).

სარკინიგზო კომუნიკაციების მხრივ სომხეთი ჩვენზე უარეს დღეშია, თუმცა თურქმენეთთან გაზის სანაცვლოდ ავიატრანსპორტით პროდუქციის გაცვლას მშვენივრად ახერხებს, ვალიც კარგა ხნის გასტუმრებული აქვს.

ჩვენ კი...

ვერ ვახერხებთ, იმიტომ, რომ უსახსრობის გამო არ შეგვიძლია სათანადო პროდუქციის შეძენა და გადაგზავნა. ამ დროს რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩვენი 13 ტრილიონი კუპონი მართებთ. ენერგეტიკოსებს, კერძოდ, თბილისის თბოელექტროსადგურს 7 ტრილიონი კუპონი აქვს გადასახდელი, რუსთავის „აზოტს“ — 2,1 ტრილიონი, საერთოდ მრეწველობას „საქგაზის“ 3 ტრილიონი კუპონზე მეტი მართებს. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, სოფლის მეურნეობის ვალი გვაქვს, რომელსაც ვერ ვიხდით და იქიდანაც ვერაფერს ვღებულობთ. სახელმწიფოც, გასულ პერიოდში, მოსახლეობის გაზით მომსახურეობაზე გათვალისწინებულ დოტაციას, რომელიც 2,0 ტრილიონ კუპონზე მეტია, ჯერჯერობით არ გვიხდის. თბილისის თბოელექტროსადგური, რომელიც გაზის ყველაზე დიდი მომხმარებელია, სათბობს ყოველგვარი თავისტეხის გარეშე იღებს (მაზუთის შემოტანას დიდი დავიდარაბა უნდა) და რაში ენაღვლება?

სწორედ ჩვენი დებიტორების წყალობით თურქმენეთში გასაგზავნი 153 მილიონი დოლარის პროდუქციის ნაცვლად სამ მილიონამდე დოლარის საქონელიც არ გვაქვს მიწოდებული. ამიტომაც იმ ხალხს არ გაემტყუნებათ, როცა ვალის დაუფარაობის შემთხვევაში გაზის ჩაკეტვით გვემუქრებიან. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ 300 მილიონი დოლარიდან 180 მილიონი შარშანდელი ვალია. ის ვითარება კი, რაც დღეს ბუნებრივი აირით რესპუბლიკის მომარაგებაშია შექმნილი, ყველასთვის ცნობილია. ამის თაობაზე პარლამენტშიც ვრცლად ვილაპარაკე. თითქმის გულთან მიიტანეს ჩვენი სატკივარი, კითხვებიც არ გასჩენიათ, ყველაფერზე დაგვეთანხმნენ, მაგრამ როცა ფულის გადახდაზე მიდგა საქმე, უარი მივიღეთ. არადა საკითხი იმდენად სერიოზულად დგას დღის წესრიგში, რომ მოკლე ხანში თუ არ გამოინახა საშუალება, რესპუბლიკა მალე უგაზოდ დარჩება. ამას რაც მოჰყვება, თავად წარმოიდგინეთ. დღეს, მარტო თბილისში 320 ათასი გაზქურა დგას, 90 ათასამდე კიდევ ელექტროღუმელია. ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევაში 400-410 ათას ოჯახს, უბრალოდ, წყლის ადუღების საშუალებაც არ ექნება...

ჩვენს პრობლემებზე აღარაფერს ვამბობთ. ადრე ნორმალური მუშაობისას, ყოველწლიურად 50 კილომეტრ 500-1000 მილიმეტრიან მაგისტრალურ ხაზებს ვცვლიდით, ოთხი წელიწადი აღარაფერი გაგვიკეთებია, მხოლოდ დაზიანებული, დახვრეტილი მაგისტრალების დაკერებით ვართ დაკავებული. ახლაც გაზსადენის მაგისტრალი სოფელ ჩმილან ყაზბეგამდე ავარიულია და გამოსართავად (გასაწმენდია), მეშინია რომ ჩავკეტოთ, კონდენსატისათვის (გაზის თხევადი ნარჩენი, ბენზინის ნაცვლად ხმარობენ მანქანებში) დახვრეტენ, გაძარცვავენ, გაანადგურებენ და მის აღდგენას მთელი წელი მოვუნდებით.

შვიდ კილომეტრამდე სპეციალური შემადგენლობის მილები გვქონდა გადანახული (მას მხოლოდ გერმანიაში მანესმანის ქარხანა უშვებს), რომელიც მოსახლეობამ მთლიანად დაიტაცა, დღეს სადმე რამდენიმე მეტრის ჩაკერება რომ დაგვჭირდეს, არა გვაქვს. მაგისტრალებზე კავშირგაბმულობის სისტემაც მთლიანად მოშლილია. მოსახლეობამ ელექტროსადენები კი არა, ბოძებიც კი დაჭრა და გაიტაცა. ამიტომ ერთი სადგურიდან მეორეს ვერ დაუკავშირდები. საერთოდ კი, თუ გაზსადენზე კავშირი გაწყვეტილია, ეს დიდ ავარიად ითვლება და მისი ექსპლუატაცია არ შეიძლება. ჩვენ კი ღვთის მადლით ჯერჯერობით ექსცესების გარეშე ვმუშაობთ. ღმერთმა ნუ ქნას, რამე სერიოზული მოხდეს.

ჩვენი მუშაკები ტყე-ღრეს არიან მოდებული. კარგი ცხოვრება როცა გვქონდა, მაშინ რა პირობები იყო და დღეს რაღა იქნება. კუპონებსაც ვერ ვაძლევთ თავის დროზე. ტყეში თუ მთაში, ნახევრად მშიერებს საძილე ტომრებში სძინავთ. სპეციალური ტრანსპორტიც აღარ გვყავს, ყველაფერი წაგვართვეს. ფეხით უხდება ხალხს აღმა-დაღმა სიარული. თქვენ წარმოიდგინეთ, რადგან ისინი ქალაქში, არ არიან ჩაწერილი, იმ სამას გრამ პურსაც არ აძლევენ. ცოლშვილიც უპატრონოდ ჰყავთ მიტოვებული.

ბოლო დროს, როცა ყველა იმედი ამოიწურა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდით, კარდაკარ დავიწყეთ სიარული. ადგილებზე ვხვდებით რაიონების გამგებლებს, საწარმოების ხელმძღვანელებს, მოსახლეობას. ვინც წინასწარ არ გადაიხდის გაზის საფასურს (ამის თაობაზე მთავრობის მითითებაც არსებობს), მას შეუწყდება ბუნებრივი აირის მიწოდება. რაიონებში ჩასვლის მთავარი მიზანი მაინც ის არის, რომ მოსახლეობა გავაფრთხილოთ, ზამთარს მომზადებული შეხვდნენ, დაათბუნონ ბინები, მოიმარაგონ საწვავი, ნავთი, შეშა, ნახშირი, საზამთროდ თადარიგი აქედანვე დაიჭირონ. ამას ვინმეს დასაშინებლად არ ვამბობთ. ორგანიზაციებმა და მოსახლეობამ თუ არ დაგვიბრუნა ვალი ან ბიუჯეტიდან თუ არ გამოგვიყვეს შესაბამისი თანხები, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით — გაზის მოწოდება შეგვიწყდება. ამის მისაღწევად, როგორც ჩანს, დღეს საქართველოში მავანთა ხელით ყველაფერი მიზანდასახულად ხორციელდება.

ვითარება რომ სერიოზულია, ამაში, მგონი, დაერწმუნდით, არც ბატონი დავით ელიაშვილი მორიდებია ვინმეს. დღეს უკვე გაჩუმების და ვიღაცების წინაშე ქედის მოხრის დრო არ არის. ქვეყანა განსაცდელის წინაშე დგას. და მას რაც სჭირს, ჩვენგანვე სჭირს, სხვა აქ არაფერ შუაშია. თუნდაც ეს ფაქტი რად ღირს — სამკერვალო ფაბრიკა „ოქსინოს“, რომელიც ქალის თეთრეულს უშვებს, თურქმენეთში გასაგზავნი 5 მილიარდი კუპონის ღირებულების პროდუქციის გარდაბნამდე გადატანაში რკინიგზამ 10 მილიარდი კუპონი მოსთხოვა. ყველაფერი თითქოს სპეციალურად კეთდება, რომ თურქმენეთ-საქართველოს შორის დადებული სამთავრობო ხელშეკრულება ჩაიშალოს. ჩაიშალა კიდეც. მთავრობა საგანგებო ზომებს არ მიმართავს. დუმს, მაფია კი მძლავრობს. ამიტომაც, ხომ არ აჯობებდა ეს საქმე — პროდუქციის გაგზავნა, ფულის აღება-დაბრუნება, რესპუბლიკისათვის სხვა სასიცოცხლო საკითხები ოფიციალურად მაფიისათვის ჩაგვებარებინა?! ეგი იმდენს თუ ახერხებს, რომ სამთავრობო ხელშეკრულებები ჩაშალოს, ამ საქმესაც ფრიადზე შეასრულებს. იქნებ ღირდეს ამაზე ჩაფიქრება?!

შოთა მაჭარაშვილი.

P. S. რესპუბლიკას აქამდე დღეღამეში 8,5 მილიონი კუბური მეტრი გაზი მიეწოდებოდა. 28 ივნისიდან ვალის გადაუხდელობის გამო თურქმენეთმა საქართველოს ბუნებრივი აირის მოწოდება დღეღამეში 8 მილიონ კუბურ მეტრამდე შეუმცირა.

დღეს გაზი შეზღუდულად მიეწოდება თბილისს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს და გარდაბნის თბოელექტროსადგურს. რესპუბლიკის დანარჩენი მომხმარებელი გამორთულია.

მრუდე სარკეში

საქართველოს მთელი მოსახლეობა მოწონებით და იმედით შეხვდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ ფართომასშტაბიან ოპერაციებს.

ამ ოპერაციების დროს დაკავებულია ასობით ბოროტმოქმედი, ჩამორთმეულია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკები, გატაცებული ავტომანქანები, ნაძარცვი ქონება, აღიკვეთა ათობით ბანდიტური ჯგუფის, უკანონო შეიარაღებული ფორმირებისა და მაფიოზური კლანის პარპაში.

ყოველი ასეთი ოპერაციის შემდეგ თითქმის ყველა რეგიონში, სადაც ეს ოპერაცია განხორციელდა, საგრძნობლად გაუმჯობესდა კრიმინოგენული ვითარება, მოსახლეობას მიეცა მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრების საშუალება. ასე მოხდა, მაგალითად, ქვემო ქართლში — დმანისის ცნობილი ოპერაციის, ზემო იმერეთში — სვირის საძმოს დაკავების შემდეგ. ამგვარი ოპერაციების და სხვა ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე აღიკვეთა ყაჩაღთა თარეში.

რესპუბლიკის მოსახლეობა აშკარად ხედავს, რომ საქართველოს პოლიციას უკვე შესწევს რეალური ძალა ქვეყანაში დაამყაროს წესრიგი, რათა სათანადო პირობები შეიქმნას სახალხო მეურნეობისა და ბიზნესის განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ძალები და ადამიანები, რომლებსაც ხელს არ აძლევს პოლიციის გაძლიერება და ქვეყანაში წესრიგის აღდგენა. ისინი სხვადასხვა გზებით ეჭვქვეშ აყენებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ოპერაციების მიზანშეწონილობას და ფაქტების დამახინჯებით, ზოგჯერ ჭორების გავრცელებით ცდილობენ პოლიციის დისკრედიტაციას.

ამგვარი დესტრუქციული ძალების წისქვილზე ზოგჯერ ნებსით, ზოგჯერ უნებლიედ წყალს უშვებს ცალკეულ გაზეთების ზოგიერთი პუბლიკაცია.

მაგალითად, გაზეთ „დრონის“ 24 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სამინისტრო მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების განხორციელებით იგნორირებას უკეთებს ადგილობრივ პოლიციას. თითქოს ამ ღონისძიებებმა უკვე დაკარგა აზრი და „შეიძლება დაემსგავსოს ხალხის გასართობ ოპერაციებს“.

სამინისტროს მიერ განხორციელებული მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის მიზანშეწონილობა ერთგვარად ეჭვქვეშ არის დაყენებული აგრეთვე გაზეთ „7 დღის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც აგრეთვე დაშვებულია რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა.

მიგვაჩნია, რომ ამგვარი პუბლიკაციები სრულიადაც არ უწყობს ხელს რესპუბლიკაში მართლწესრიგისათვის გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლას.

ჩვენს შორის ვართ იმ აზრისაგან, რომ მსხვილმასშტაბიან ოპერაციებს, ან სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვა ღონისძიებებს არ ახლავს ხარვეზები, ცალკეული მუშაკების მიერ წესრიგის დარღვევა და უპასუხისმგებლობა. ამგვარი ხარვეზები არის და მას მკაცრი შეფასება ეძლევა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ, როგორც სამინისტროს შიგნით, ისე პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით.

ჯანსაღ ობიექტურ შენიშვნებსა და კრიტიკას მივესალმებით. მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ეჭვქვეშ დააყენონ იმ ღონისძიებათა მიზანშეწონილობა, რომელთა პოზიტიური შედეგები კარგად არის ცნობილი მთელი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, ვერ გავიზიარებთ დაუსაბუთებელ, გაყალბებულ ფაქტებზე აგებულ კრიტიკულ შენიშვნებს, რადგან ისინი არა მარტო შეურაცხმყოფელია, არამედ საქმეს ვნებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი თხოვნით მიმართავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს, ნუ დაეყრდნობიან საეჭვო წყაროებს, ინფორმაციის სიზუსტე გადაამოწმონ სამინისტროს პრესცენტრში და შემდეგ მოახდინონ მათი პუბლიკაცია. ამით თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ გაუგებრობას.

რაც შეეხება მსხვილმასშტაბიან ოპერაციებს, სამინისტროს პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ამგვარი „რაუნდები“ გაგრძელდება მანამ, სანამ რესპუბლიკაში არ მოხდება კრიმინოგენული ვითარების სრული სტაბილიზაცია.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

მეორე სვეტი

დაიწყო პირველი სამუშაო შეხვედრები

28 ივნისს სასტუმრო „მეტეხში“ გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირთა შეხვედრა, რომლებიც მონაწილეობენ ამ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თბილისის კონფერენციაში. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს, ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთის, მოლდოვას, საბერძნეთის, სომხეთის, უკრაინის წარმომადგენლები, აგრეთვე ისრაელის, სლოვაკეთის, ეგვიპტის, ტუნისისა და პოლონეთის მეთვალყურეები.

მიღება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში

27 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იაშარ იაკიში. საუბარი ეხებოდა თბილისში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის საკითხებს.

საუბარში მონაწილეობდა თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თოვფიკ ოქიაუზი.

* * *

27 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო ტუნისის დროებითი საქმეთა რწმუნებული რუმინეთში აბდელ აუ აოუედ მზუგი, რომელიც მეთვალყურის სტატუსით თავის ქვეყანას წარმოადგენს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე.

საუბრის დროს განიხილეს საქართველოსა და ტუნისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების, ორმხრივი თანამშრომლობის დაწყების, ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის საკითხები.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. უახლოეს დღეებში საქართველოს ეწვევა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი. იგი შეხვდება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძესა და საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებს.

განიხილება აფხაზეთის სტატუსის საკითხი.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში იქმნება უკრაინის რესპუბლიკის პარლამენტთან ურთიერთობის ჯგუფი.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა, პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარემ, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თანათავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ ქართულ-ოსურ მხარეთა შორის ვლადიკავკაზში ხელმოწერილ ოთხმხრივ (საქართველოს რესპუბლიკა, გაერო, რუსეთის ფედერაცია, ოსური მხარე) ხელშეკრულებაში დაშვებული იქნა ტერმინოლოგიური შეცდომა: დოკუმენტს ხელს აწერს სამხრეთ ოსეთი, ნაცვლად ქართულ-ოსურ კონფლიქტში მონაწილე ოსური მხარისა.

FONDATION DU FORVM UNIVERSALE

„კრან-მონტანა ფორუმი“ — დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გადებული ხიდი

შვეიცარიის ალპებში, კურორტ კრან-მონტანაში დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციის „კრან-მონტანა ფორუმის“ მეხუთე კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია უკვე „ჩაწერილი ქულით“ ჩავიდა.

საქმე ისაა, რომ წინა კონფერენციაზე, რომელიც ბუქარესტში გაიმართა, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების პოზიციამ რეგიონული კონფლიქტების, კერძოდ, კავკასიაში არსებული საომარი დაპირისპირების მსოფლიო კატასტროფაში შესაძლო გადაზრდის შესახებ, კონფერენციის მონაწილეთა მხარდაჭერა მოიპოვა და დებატების შემდეგ საერთო პრიორიტეტად ჩამოყალიბდა: „კრან-მონტანა ფორუმის“ საერთო შეხედულებად იქნა აღიარებული ამ საშიშროების მშვიდობიანი მოლაპარაკებების, დიალოგის გზით მოგვარების პოლიტიკა. ამ ფაქტმა ბევრად განაპირობა ის, რომ საქართველო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ორბიტაში საფუძვლიანად ჩაეწერა.

— თუ ბუქარესტში ჩვენ ვეძებდით პარტნიორებს და ვთავაზობდით შეხვედრებს, — იტყვის კრან-მონტანას შემდეგ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, — შვეიცარიაში უკვე სხვები ეძებდნენ ჩვენთან შეხვედრის საშუალებას.

ისიც უდაოდ დადებითი მომენტი იყო, რომ კონფერენციის გახსნის კვირაძალს საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის თათბირმა კატეგორიულად განაცხადა — სამხედრო ძალით კავკასიაში ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტა დაუშვებელია!

„კრან-მონტანა ფორუმის“ იდეები, როგორც ხედავთ, სახელმწიფოთა ოფიციალური საგარეო პოლიტიკის ტაქტიკად ყალიბდება. ეს ერთი მაგალითიც ცხადყოფს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტს. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ მის შექმნაში ჩვენი ქვეყნის წვლილიც არის.

ამიტომ იყო, რომ კონფერენციის ორგანიზატორებმა კვლავ მიიწვიეს საქართველოს დელეგაცია, კვლავ — ძირითადად თავიანთი ხარჯით და კვლავ სთხოვეს დელეგაციის ხელმძღვანელს ოთარ ფაცაციას სიტყვით გამოსვლა.

„კრან-მონტანა ფორუმის“ პრეზიდენტი, დოქტორი კარტერონი ჩვენთან შეხვედრის დროს განაცხადებს, რომ ბატონ ოთარ ფაცაციას სიტყვა, ჩვეულებისამებრ, აქტუალობით გამოირჩეოდა, ხოლო მის მიერ წამოყენებული იდეა რეგიონთაშორისი გაერთიანებების თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობის დღევანდელ პრიორიტეტებს ზუსტად მიესადაგა და ყოველმხრივ მხარდასაჭერია.

ამის თაობაზე ვიტყვით.

ახლა კი... ჩავედით შვეიცარიაში და, მართალია, აღმოჩნდა, რომ დელეგაციის ხელმძღვანელი და ზოგიერთი სხვა წევრიც არაერთხელ ყოფილან ამ ქვეყანაში, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორს, რომელიც აქ პირველად არის, ჩემი წილი აღფრთოვანების ნება მომეცით.

თბილისური ქუჩების მტვერი თბილისშივე უნდა ჩამოიბერტყოს ალოკილ შვეიცარიაში — საკუთარ ოჯახზე მეტად მოვლილ ქვეყანაში წამსვლელმა კაცმა.

ბუნების და ადამიანის ურთიერთობა აქ იმდენად ჰარმონიულია, არქიტექტურა და ლანდშაფტი ისე ერწყმის და ავსებს ერთმანეთს, რომ ერთი შეხედვით ყველაფერი ირეალური გეგონება, ან — დეკორაცია. სანახაობა და არა ადამიანის ყოფითი გარემო.

ჟენევის ტბაში რომ ჩავყურყუმალავდით დაფრენისას, კრან-მონტანაში ამოვყვინთეთ, გოლფის გაკრეჭილბალახიანი მინდვრების, სამთო-სათხილამურო სპორტისა და ტბების კურორტზე.

აქ იმდენი ბუნებრივი ტბაა და ბუნებრივს დამსგავსებული წყალსაცავი, ჩვენი მეგობარი კოკროშინა აქ რომ ყოფილიყო — ცოტა თავს დაიფასებდა და იტყოდა, ისე მომწონს, ნესტიანი რომ არ იყოს, აქ ვიცხოვრებდიო.

კოკროშინამ რა იცის, რომ კრიალაა და მშრალი აქაური ჰავა, როგორც ჩვენს, სამწუხაროდ, უპერსპექტივო ბაკურიანში. სიმდიდრე და უზრუნველობა დევს თითქოს ამ გზებზე, ამ პატარა ქალაქის ქუჩებში, სიუხვის კალთადაბერტყილი შრომის უმაღლესი ორგანიზაციით და სისხლში გამჯდარი საქმის სიყვარულით... შრომის კულტურით, — გნებავთ ასე.

ტრადიცია?

თავისთავად ცხადია.

მუდმივი ნეიტრალიტეტი?

რა თქმა უნდა.

და კიდევ ბევრი სხვა პირობა, რამაც ამ კონფედერაციული სახელმწიფოს მაღალგანვითარებულ ქვეყნად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

რაც მთავარია: შვეიცარიელები ერთმანეთის დასახოცად არასოდეს დარაზმულან. პირიქით: მათ, როგორც გაწვრთნილ და გულად სამხედრო ძალას მეზობელი ქვეყნები მუდმივად ქირაობდნენ, მაგრამ იქაც, სხვათა ომებში ერთმანეთის პირისპირ არ დამდგარან, და ვერც ვერავინ აიძულებდა. ეს ისტორიული ფაქტია.

უპრობლემო ქვეყანა?

რა მოგახსენოთ...

მათ ეჩვენებათ, რომ — აქვთ. მაგალითად, მიაჩნიათ, რომ კონფედერაციის ხელმძღვანელობის კურსი — საერთოევროპულ პროცესებში შვეიცარიის აქტიურად ჩართვისკენ მიმართული, საკამათო და სადავოა. მემარჯვენეები ამტკიცებენ, რომ ბიუროკრატიულ და ცენტრალიზებულ ევროპასთან გაერთიანება შვეიცარიას სუვერენიტეტს დააკარგვინებს. ცენტრისტები კი, პირიქით, შვეიცარიის იზოლაციის წინააღმდეგ იბრძვიან და მემარჯვენეებს დემაგოგებად ნათლავენ.

რით დამთავრდება ეს დაპირისპირება, გაერთიანდება თუ არა შვეიცარია ევროპის ეკონომიკურ სივრცესა და ევროპის თანამეგობრობაში, ამ შემოდგომაზე გაირკვევა.

ნეტავი მათ!

ჩვენ, მართლაც მწვავე პრობლემებით დატვირთულებმა, ავუტალახეთ კარები „კრან-მონტანა ფორუმს“, რომლის ორგანიზატორები, უპირველესად კი მისი პრეზიდენტი ბატონი კარტერონი არა მარტო კეთილგანწყობილნი არიან საქართველოს მიმართ, არამედ მაქსიმალურად მოწადინებულნი ხელი შეგვიწყონ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის დასამყარებლად.

მაინც რატომ ჩამოვედით და რას ველით ამ კონფერენციისგან?

ჩამოვედით იმისთვის და იმიტომ, — რისთვისაც და რატომაც სხვა ქვეყნების დელეგაციები.

მათი ხელმძღვანელები ასე ხსნიან თავიანთ აქტიურობას:

სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გრანტ ბაგრატიანი:

— ბუქარესტის კონფერენციას პოლიტიკური აქცენტები ჰქონდა და ამიტომ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობა უფრო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ. კრან-მონტანაში კი მთავარი ყურადღება ეკონომიკურ ურთიერთობებზეა გადატანილი. ამიტომ ჩემი აქ ყოფნა უფრო უპრიანია. ხომ ხედავთ დღეს ბევრი ისეთი პრობლემა აწუხებს, რომელთა მოგვარება ფართო საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. „კრან-მონტანა ფორუმი“ ამ ურთიერთობათა დამყარების შესანიშნავ საშუალებას ქმნის და ჩვენი დელეგაციაც აქაა.

რუსეთის ფედერაციის დუმის თავმჯდომარის მოადგილე რამაზან აბდულატიპოვი:

— მე უკვე მეხუთედ ვმონაწილეობ „ფორუმის“ კონფერენციებში და შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ისეთი უნიკალური საშუალება სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთობისა უშუალობითა და საქმიანი განწყობილებით გამორჩეულ ატმოსფეროში, როგორიც აქ არის, საეჭვოა, რომელიმე სხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე იყოს.

პირადი კონტაქტები, ურთიერთსაინტერესო პროექტების, წინადადებების, იდეების განხილვა არა მარტო ოფიციალური სხდომების დროს, არამედ უშუალო შეხვედრებისას, რისი მყარი ტრადიცია აქ ჩამოყალიბდა, უნიკალურ პირობებს ქმნის ყოველმხრივ სასარგებლო ეკონომიკური, საფინანსო, სოციალური თანამშრომლობისათვის საფუძვლების ჩასაყრელად.

„კრან-მონტანა ფორუმი“ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გადებული ხიდია და მასზე მოძრაობის ინტენსიურობა ბევრად შეუწყობს ხელს ყოფილ სსრკ რესპუბლიკებს, მათ შორის, რუსეთსაც, ნაკლებ მტკივნეულად დაძლიონ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სირთულეები. ჩვენი მონაწილეობა ამ შეკრებებზე რუსეთის ფედერაციის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურებისთვის სასარგებლოა.

უფრო გასაგები რომ იყოს, ჩვენი ევროპელი ელჩი ზურაბ აბაშიძე ასეთ მაგალითს დაგვისახელებს:

— ევროკავშირის ხელმძღვანელის მოადგილეს ბატონ ჰუბერტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს რომ შეხვდე, უამრავი ბარიერი უნდა გადალახო, ჩინოვნიკებისა და დეპარტამენტების რამდენიმე ფენა უნდა დაძლიო. და მაინც გარანტირებული არ იქნები, რომ შეხვდები.

აქ კი:

— გამარჯობათ ბატონო ჰუბერტ! საქართველოს დელეგაცია მოგესალმებათ და გთხოვთ გამონახოთ დრო ჩვენთან სასაუბროდ.

პასუხად — კომპლიმენტები საქართველოს მისამართით და შეთანხმება, ამა და ამ შესვენების დროს შეხვედრის თაობაზე.

ასეთია კრან-მონტანას ურთიერთობათა დემოკრატიული ხასიათი.

* * *

არ მკითხოთ, როდის დავიწყებ შვეიცარიით ჩემი წილი აღფრთოვანების გადმოცემას: საქართველოს დელეგაციის წევრებს კრან-მონტანას არც დასათვალიერებლად სცალიათ, არც სრულად ალხაჭმელად: დილით — ფეხით ხანტუმრო „აიდადან“ (ჩვენი რეზიდენცია) „კონგრესის დარბაზამდე“, სადაც კონფერენცია ტარდება. საღამოს უკან.

მაგრამ ეს მარშრუტიც საკმარისია გასაოგნებლად.

ერთადერთი კაცი, რომელიც ამ ირეალურ ქალაქში მაინც ახერხებს მშვიდად სიარულს და გადაღებას, ტელეოპერატორი ამირან მურვანიძეა, რომელსაც პირველ დღესვე შეექმნა პრობლემები — ნახატს ჰგავს ეს ოხერი, კადრში ხალხი მაკლიაო.

ხალხი ჩამოვა შაბათს და კვირას, შეძლებული ხალხი — გოლფის სათამაშოდ და დასასვენებლად.

ჩამოვა დღევანდელი ევროპა კრან-მონტანაში, მთის კურორტზე.

მანამდე კი:

— ბონჟურ, მესიე! — მომესალმება დილაადრიან უცნობი ქალბატონი.

— გაგიმარჯოს, ქალბატონო! — მხარს ვუბამ ალპებში შემორჩენილ ამ კეთილშობილურ ჩვეულებას — უცნობისათვის გამარჯვების სურვილის არდამადლებას.

და კიდევ — ცნობისმოყვარეობას, რომლის დაკმაყოფილება სულაც არ ითვლება ცუდ ტონად.

ავტობუსის შოფერი, რომელმაც ის-ისაა ჩაგვსვა თავის „სატრანსპორტო საშუალებაში“, კარი მოგვიხურა ზრდილობიანად და საჭეს მიუჯდა, ძრავის ჩართვისთანავე შეგვეკითხება:

— საიდან ხართ?

— საქართველოდან (ლა ჟეორჟი), — ვუპასუხებთ.

ეს მას არაფერს ეუბნება.

აზუსტებს:

— ქალაქი?

— თბილისი.

— ააა, მესიე შევარდნაძე! — იტყვის და რაკი „საერთო ნაცნობს“ აღმოაჩენს, გაგვიშინაურდება. კონფერენციის ბოლომდე აღარ მოგვცილდება სანდრო პასტორალი, იტალიური წარმოშობის შვეიცარიელი.

კონფერენციაზეც პირველი გარი, პირველსავე შეხვედრაზე შევარდნაძე იყო.

ბატონმა როლან დიუმამ ახსენა ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, საერთაშორისო დიპლომატიის ამ ცნობილმა მოღვაწემ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა თითქმის ლეგენდარულმა მინისტრმა. ჩემი დიდი მეგობარი არისო ედუარდ შევარდნაძე, დიდი საქმეები გადაგვიწყვეტია ერთად, მე მას ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიხსენებ და ვუსურვებ წარმატებებს იმ უძნელეს საქმეში, რომელსაც ახლა უდგას სათავეში თქვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

ეს მხოლოდ შტრიხია ლიდერობის საკითხისათვის, რომელიც მოდაშია ჩვენს პარლამენტში.

კერპთაყვანისმცემლობა ვინმემ რომ არ დამაბრალოს, ვიჩქარი გაცნობოთ, რომ მიზეზთა გამო მრავალთა, რომელთა შორის პიროვნული ფაქტორიც იყო, ინტერესი საქართველოს დელეგაციისადმი მართლაც დიდი გახლდათ.

რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ოთარ ფაცაცია, დელეგაციის წევრები შეხვდნენ კრან მონტანაში წარმოდგენილი 25 ქვეყნისა თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მეთაურებს, ხელმძღვანელებს.

და ყველა ამ შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, ქვეყანაში მიმდინარე პოზიტიური, შეუქცევადი პროცესები დადებითად იქნა შეფასებული, ხშირ შემთხვევაში, უნიკალურ მოვლენადაც აღიარებული.

ეს შეფასებები რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ინტერესის საგანი გახდა, ამაში დიდი როლი ითამაშა ტრანსეროვნული ტელეკომპანიის „ევრონიუსის“ დაინტერესებამ „კრან-მონტანა ფორუმის“ კონფერენციით.

ამაზე — მომდევნო წერილში.

არმაზ სანებლიძე.
კრან-მონტანა. თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

კონცეფცია

ენერგეტიკის განვითარების გზები

70-იან წლებში, პირველად ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში, რიგ განვითარებულ ქვეყნებში საერთო ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპმა წინ გაუსწრო პირველადი ენერგიის მოხმარების ზრდის ტემპს. საქართველოში ზოგიერთებმა ეს ფაქტი გააიგივეს იმის შესაძლებლობასთან, თითქოსდა, ეკონომიკური წინსვლა შესაძლებელია ელექტროენერგეტიკის არაინტენსიური განვითარების ბაზაზეც. სინამდვილეში ეს ასე არ არის — მთლიანად შემცირდა პირველადი ენერგორესურსების ხვედრითი მოხმარება, მაგრამ რაც შეეხება თვით ელექტროენერგიას. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მისი წარმოების ზრდის ტემპი დღესაც წინ უსწრებს საერთო ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპს. უახლოესი 50 წლის განმავლობაში, სპეციალისტთა პროგნოზით, ეს კანონზომიერება ძალაში დარჩება.

ვფიქრობ, რომ საქართველოში ენერგეტიკის განვითარების ნებისმიერი კონცეფციის შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია:

1. 1989 წელს საქართველოს ენერგოსისტემაში თვიური ბაზისური სიმძლავრის დეფიციტი დაახლოებით 1500 მგვტ-ს შეადგენდა.

2. საქართველოს ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული რესურსი ტოლია 80-85 მლრდ კვტ-ს, ხოლო ეკონომიკური — 45-50 მლრდ კვტ-ს. ამჟამად ათვისებულია ამ პოტენციალის 12 პროცენტი. ამასთან, საქართველოს პრაქტიკულად არ გააჩნია ორგანული სათბობის რესურსები.

3. ჰიდროელექტროსადგურები (ჰესი) ბარის დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურების გამოკლებით, ხასიათდებიან: ა) მინიმალური უარყოფითი ზემოქმედებით გარემოზე (განსაკუთრებით მთის პირობებში), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი გარემოზე ახდენს დადებით გავლენას, რაც სავსებით გამორიცხულია ნებისმიერი სხვა ტიპის ელექტროსადგურისთვის;

ბ) ჰესებზე წარმოებული ელექტროენერგიის თვითღირებულება 4,5-6-ჯერ ნაკლებია ტრადიციულ თბო და ატომურ ელექტროსადგურებთან შედარებით;

გ) ჰესის მშენებლობა თბოელექტროსადგურებთან (თესი) შედარებით მოითხოვს კაპიტალდაბანდების მეტ სიდიდეს, მაგრამ თანაბარი რაოდენობის ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად ჰესი საჭიროებს 6-12-ჯერ ნაკლებ შრომით რესურსებს თესებთან შედარებით;

დ) ჰესი წარმოადგენს ენერგოსისტემის ძირითად მაღალმანევრულ ენერგოწყაროს და გამოირჩევა მუშაობის შეუდარებლად ყველაზე მაღალი საიმედოობით.

4. თესებში ორგანული სათბობის ხვედრითი ხარჯისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების რადიკალური საშუალებაა ელექტროენერგიის წარმოება ორთქლაირიანი დანადგარებით, რომელთათვისაც პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯი შეადგენს 150-160 გ/კვტს (ტრადიციულ თესებში — 350-400 გ/კვტს).

5. თერმოდინამიკის ფუნდამენტური კანონების შესაბამისად თბოფიკაცია — თბომომარაგება ელექტროენერგიისა და თბური ენერგიის კომბინირებული გამომუშავების ბაზაზე ორთქლაირიან ბლოკ — თბოელექტროცენტრალებში (ბლოკ-თეცი) — საშუალებას იძლევა სათბობის ხარჯი ენერგოსისტემაში შემცირდეს 25-30 პროცენტით (ელექტროენერგიისა და თბური ენერგიის განცალკევებულად გენერირების შემთხვევასთან შედარებით). ამის გარდა ბლოკ-თეცის უშუალოდ თბურ მომხმარებელთან განლაგება ქმნის ელექტრული სიმძლავრის ადგილობრივ რეზერვს, ამცირებს დანაკარგებს ელექტრულ და თბურ ქსელებში.

საქართველოში ენერგეტიკის განვითარების კონცეფცია უნდა შეიცავდეს ორ ძირითად ეტაპს — არსებული კრიზისის უსწრაფესი დაძლევის (1993-2000 წ.) და სტაბილიზაციის. ამასთან მეორე ეტაპის (2000-2040 წ.) ღონისძიებები უნდა დაეფუძნოს:

1. საკუთარი ენერგორესურსების გამოყენებას: ა) 2040 წლისთვის მაქსიმალურად უნდა იქნეს ათვისებული ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი (ენერგეტიკა ეკოლოგიურად მით უფრო სუფთაა, რაც მეტია ჰესებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის წილი ენერგიის საერთო გამომუშავების ბალანსში); გ) ინტენსიურად უნდა განვითარდეს ქარისა და მზის ენერგეტიკა.

2. წარმოებადი ელექტროენერგიის დროში გადანაწილებას სხვადასხვა ტიპის ჰიდრომააკუმულირებელი სადგურების მშენებლობის გზით.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით და საჭიროებისამებრ მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ელექტრული ქსელების განვითარებით საქართველოს შეუძლია 2040 წლისთვის გახდეს არა მხოლოდ ელექტროენერგეტიკულად უზრუნველყოფილი ქვეყანა, არამედ ელექტრული ენერგიის ექსპორტიორიც ორგანული სათბობის გამოყენების გარეშე (ბლოკ-თეცების გამოკლებით).

იმის გამო, რომ: ა) საქართველოში ენერგეტიკული კრიზისი განპირობებულია ბაზისური ელექტროენერგიის დეფიციტით; ბ) ჰიდროენერგეტიკული ობიექტების პროექტირება, შემდგომი მშენებლობა მოითხოვს მნიშვნელოვნად მეტ ხვედრით კაპიტალდაბანდებებს და მათი რეალიზაციის ვადებიც მნიშვნელოვნად აღემატება თბოელექტროსადგურებზე სიმძლავრეების შეყვანის ვადებს (ჰიდრო და ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით ბაზისური ელექტროენერგიის დეფიციტის აღმოფხვრას და შემდგომ ბაზისური ენერგიით რესპუბლიკის უზრუნველყოფას დასჭირდება არანაკლებ 25-35 წელიწადი), ენერგეტიკული კრიზისის უსწრაფესი დაძლევის ერთადერთი გზა თბოენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაა.

ყოფილ სსრკ-ში ბაზისურ თესებში ენერგიის გარდაქმნა ხორციელდება რანკინის ციკლით მომუშავე ორთქლტურბინიანი დანადგარებით და მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ) არ აღემატება 40 პროცენტს, მაშინ როდესაც დასავლეთის ქვეყნებში, ბოლო წლებში უკვე რეალიზებული ე. წ. ბინარული ორთქლაირიანი დანადგარების მქკ 50-52 პროცენტს მიაღწია.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების უზრუნველსაყოფად თესების დადგმული სიმძლავრე 2005 წლისთვის უნდა გაიზარდოს 2247 მგვტ-დან 4500 მგვტ-მდე, ხოლო ელექტროენერგიის წლიურმა გამომუშავებამ უნდა მიაღწიოს 23 მლრდ კვტს. თუ საქართველოში თბოენერგეტიკის განვითარება დაეფუძნება ზემოთ აღნიშნული ორთქლაირიანი დანადგარების გამოყენებას, მაშინ, ფაქტიურად სათბობის იმავე რაოდენობით რამდენსაც მოიხმარდნენ არსებული თესები 1993 წელს სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში (3,42 მილიონი ტონა პირობითი სათბობი), შესაძლებელი გახდება 23 მლრდ კვტს ელექტროენერგიის გამომუშავება. ამ შემთხვევაში სათბობის ეკონომია მიაღწევს 5,7 მილიონ ტონას წელიწადში, რაც 513 მილიონი დოლარის ექვივალენტურია. ამის გარდა ორთქლაირიანი დანადგარის (აირტურბინიანი სიმძლავრის დიდი წილით) ხვედრითი ღირებულება 1,8-ჯერ ნაკლებია ტრადიციულ თბოელექტროსადგურებთან შედარებით (რომელთათვისაც ხვედრითი კაპიტალური დაბანდება შეადგენს 700-900 ამერიკულ დოლარს (კვტ), რაც 4500 მგვტ დადგმული სიმძლავრისთვის 1,5 მლრდ დოლარის ეკონომიას განაპირობებს. ამდენად, ეკონომიის ჯამური სიდიდე, რომელიც მიიღწევა ექსპლუატაციის 30 წლის განმავლობაში ტრადიციული ორთქლტურბინიანი ენერგობლოკების ნაცვლად ორთქლაირიანი დანადგარების გამოყენებით, შეადგენს დაახლოებით 17 მლრდ დოლარს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში თბოენერგეტიკის განვითარება უნდა განხორციელდეს ორთქლაირიანი თბოელექტროსადგურების მშენებლობის გზით, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია. მისი პროგრამის მისაღები ვარიანტი ასეთია:

1. თბილთესის (ქ. გარდაბანი) რეკონსტრუქცია: ა) მეთერთმეტე 300 მგვტ სიმძლავრის ორთქლტურბინიანი ენერგობლოკის ამოქმედება (1994 წ.); ბ) ხუთი ახალი ორთქლაირიანი ენერგობლოკის გაშვება (თითოეული 200 მგვტ სიმძლავრით, 1994-2000 წ.); გ) ამორტიზებული № 1-8 ენერგობლოკების დემონტაჟი (1996 წ.).

2. ქუთაისის ახალი თბოელექტროსადგურის აგება (1800 მგვტ სიმძლავრით). ა) მშენებლობის დაწყება — 1996 წ; ბ) ორი ორთქლაირიანი დანადგარის, სიმძლავრით 200 მგვტ თითოეული, განხორციელება და ამოქმედება — 1998 წ; გ) შვიდი ორთქლაირიანი დანადგარის, სიმძლავრით 200 მგვტ თითოეული, მშენებლობის დასრულება და ამოქმედება — 2005 წელს.

3. თბილთესის სამი ორთქლტურბინიანი ენერგობლოკის, სიმძლავრით 300 მგვტ თითოეული, 2000-2005 წლებში ორთქლაირიანი დანადგარების გამოყენებით რეკონსტრუქცია ამ ბლოკებზე სათბობის ხვედრითი ხარჯის შემცირების მიზნით.

4. მსხვილი საცხოვრებელი მასივებისა და სამრეწველო საწარმოების მახლობლად ორთქლაირიანი ბლოკ-თეცების, ხოლო ქვანახშირის მოპოვების რეგიონები ორთქლტურბინიანი (მდუღარე ფენიანი საცეცხლით) თეცების მშენებლობა — 1994-2005 წლებში (ჯამური ელექტრული სიმძლავრე 800 მგვტ).

თბოენერგეტიკის ეკოლოგიური პრობლემების რაციონალურად გადაწყვეტა შესაძლებელია თესი-ს სქემაში აირის გამათხევადებელი დანადგარის და გათხევადებული აირის მააკუმულირებელი რეზერვუარების ჩართვით, რადგანაც ამ გზით გამოირიცხება მაზუთის როგორც სარეზერვო სათბობის გამოყენების აუცილებლობა.

ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპების თანახმად ჰიდროენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა კი შემდეგნაირად გვესახება:

1. ხუდონჰესის (სიმძლავრე 750 მგვტ, გამომუშავება 1,75 მლრდ. კვტს) მშენებლობის განახლება 1994 წელს, ამოქმედება 1998 წელს.

2. ნამახვანჰესის (სიმძლავრე 570 მგვტ, გამომუშავება 1,5 მლრდ. კვტს) მშენებლობის დაწყება — 1997 წელს, დამთავრება 2002 წელს.

3. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების ოპტიმალური ვარიანტების დადგენა საბაზრო ეკონომიკის პირობებში: ა) 1993-2000 წლებში უნდა დამუშავდეს ახალი ჰიდროელექტროსადგურებისა და კასკადების პროექტები და სქემები; გადაისინჯოს არსებული პროექტები; ბ) ამავე დროს დადგინდეს ოპტიმალური თანაფარდობა ჰიდრომააკუმულირებელ სადგურებსა და სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურებს შორის. დაზუსტდეს ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურების არსებული პროექტები; გამოინახოს ახალი ჰიდრომააკუმულირებელი სადგურების ასაშენებლად ოპტიმალური ტერიტორიები, როგორც არსებული ტბების ბაზაზე, ასევე დაუსახლებელი და უწყლო ხეობების გამოყენების საფუძველზე.

4. 2000-2040 წლებში განხორციელდეს მცირე, საშუალო და დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. პრაქტიკულად სრულად იქნეს ათვისებული საქართველოს ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი.

5. 2035-2040 წლისთვის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურების სიმძლავრეებმა უნდა უზრუნველყოს: ა) ქარისა და მზის ელექტროსადგურების მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებით მუშაობა; ბ) თბოელექტროსადგურების ძირითადი სიმძლავრეების ექსპლუატაციიდან გამოყვანა; გ) განახლებად ენერგოწყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურებსა და ბლოკ-თეცებთან ერთად საქართველოს ენერგოსისტემის ბაზისური ელექტროენერგიით სიმედო და უდეფიციტო მომარაგება; დ) მეზობელი ქვეყნებიდან ბაზისური ელექტროენერგიის შესყიდვა, მისი შემდგომი რეაკუმულაციის შედეგად მიღებული პიკური ენერგიის გაყიდვის მიზნით, რაც დამატებითი შემოსავლის წყაროა, რადგანაც პიკური ენერგია 3-ჯერ ძვირია ბაზისურზე.

ჰიდროენერგეტიკასთან ერთად 2040 წლისთვის გარკვეული წვლილი ენერგეტიკის განვითარებაში უნდა შეიტანოს მზის და ქარენერგეტიკამ. ქარის ენერგიის ხარჯზე მიღებული ჯამური ელექტროენერგიიდან ბაზისურს შეადგენს მხოლოდ 5-10 პროცენტი, ნახევრადპიკური და პიკური ენერგიის მიღება კი საქართველოში უპრიანია ჰიდრორესურსების შემდგომი ათვისებით. ამიტომ, ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილია ქარენერგეტიკის განვითარება ამ ენერგიის ჰიდროაკუმულირების გზით. აღსანიშნავია, რომ ქარისა და ჰიდროენერგიის კომპლექსური გამოყენების ეფექტურობა მნიშვნელოვნად იზრდება ზამთრის პერიოდში, როდესაც იზრდება ქარის ენერგიის ინტენსივობა. შეფასებითი გაანგარიშებით ქარის ენერგიის ხარჯზე ელექტროენერგიის წლიურმა გამომუშავებამ 2040 წლისთვის შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 1,5 მლრდ. კვტს.

ე. წ. „მძიმე“ მზის ენერგეტიკის განვითარება სპეციალისტთა საერთო აზრით, ეკონომიკურად 50 წლის შემდეგ გამართლებული იქნება. სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორის არსებობის გამო საქართველოს გააჩნია რეალური პირობები 21-ე საუკუნის დასაწყისშივე განავითაროს ის ჰელიოჰიდროტექნიკის ბაზაზე.

მზის და ქარენერგეტიკისაგან განსხვავებით გეოთერმულ ელექტროენერგეტიკას არ შეუძლია რამდენადმე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარებაში, რადგანაც საქართველოს ყველა გეოთერმული წყაროებისთვის იქსერგიის ჯამური სიდიდე, ანუ თეორიული ელექტროენერგეტიკული „მარაგი“ მხოლოდ 40-50 მგვტ-ს შეადგენს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ 2005 წლამდე საქართველოში ენერგეტიკის განვითარება თბო და ჰიდროენერგეტიკამ უნდა განაპირობოს. ხოლო შემდგომ ჰიდროენერგეტიკამ და არატრადიციული ენერგოწყაროების გამოყენებამ. მომავალში ენერგეტიკის განვითარების კონკრეტულ პროგრამებში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიძლება შეიტანოს თერმობირთვული და „სილიკატური“ ენერგეტიკის, ენერგიის ზეგამტარი დამაგროვებლის პრობლემების დადებითად გადაწყვეტამ.

და ბოლოს, დასკვნის სახით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ტრადიციული ენერგეტიკა ნებისმიერ ქვეყანაში რენტაბელურია ელექტროენერგიის შესაბამისი ტარიფიკაციის ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს შემდეგი აუცილებლობის რეალიზებას: ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს საერთო ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპს.

ვაჟა ჯამარჯაშვილი,
ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბოენერგეტიკული კვლევის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მხოლოდ შრომა გადაგვარჩენს!

საქმემან შენმან გამოგაჩინოს...

ერთი დღე სიღნაღის რაიონში

გამგებლის მისაღები ხალხით იყო სავსე, ოცდათხუთმეტი კაცი ითხოვდა მიღებას. ერთ-ერთ მათგანს შინ მიცვალებული ჰყავდა, შემწეობას ითხოვდა ჭირმაგი კაცი. თანაუგრძნეს, სასწრაფოდ გაიცა განკარგულება დახმარებოდნენ გასაჭირში ჩავარდნილს. მავანს მძიმე ავადმყოფი შვილი თბილისში უნდა წაეყვანა. გამოინახა შესაძლებლობა უფასოდ გადაეგზავნათ ავადმყოფი დედაქალაქში...

ძლივს მოვახერხეთ ორიოდე წუთით სიღნაღის რაიონის გამგებელთან შესვლა.

— მიმაჩნია, რომ კრიზისის პერიოდს ჩვენმა რაიონმა გაუძლო, ახლა მზადდება საზოგადოებრივი მეურნეობების აღორძინების ღონისძიებები, — თქვა საუბარში ბატონმა ვაჟა ცაბუტაშვილმა, — ხალხში რწმენა ისეთია, რომ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა იარსებონ. მართალია, მიწის დიდი ნაწილი ხალხს გადაეცა, მაგრამ რაც დარჩა, იმის მოვლა-პატრონობა საშური საქმეა. ერთი სიტყვით, ჯერ ვერაფერს გეტყვით, ვმუშაობთ, ვცდილობთ, ვნახოთ...

საუბარი რაიონის აგროკომპლექსში განვაგრძეთ. აქ შევიტყვეთ, რომ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის თადარიგი სიღნაღის რაიონში ადრევე დაუჭერიათ. 31 ათასი ჰექტარი სახნავი ფართობიდან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა მოუხნავი, თანაც დაბალნაყოფიერი მიწები. საშემოდგომო ხორბალი 11.600 ჰექტარზე დაითესა, შვრია — 540 ჰექტარზე, მზესუმზირა 4 ათას 500 ჰექტარზე, ერთწლიანი ბალახები — 340 ჰექტარზე.

გამგებლის, ვაჟა ცაბუტაშვილის ინიციატივით, კუპონების გაუფასურებასთან დაკავშირებით, სოფლად პედაგოგებს შრომა ნატურით აუნაზღაურდებათ. გარდა ამისა, საზოგადოებრივ სექტორში ჩაბარებული ყურძნის 50 პროცენტიდან მიღებული ღვინომასალა მეურნეობას დაუბრუნდება, რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს ბარტერული გაცვლით შეიძინოს მისთვის საჭირო ყველა პროდუქტი და მასალა. ისმება კითხვა: რა უნდა მიიღოს გლეხმა ნატურალური ანაზღაურების შემთხვევაში?

— კუპონს გლეხი აღარ მიიღებს — საუბარს აგრძელებს აგროკომპლექსის თავმჯდომარე გივი შიუკაშვილი, — ამიტომ იგი წარმოების დასაწყისშივე ითხოვს იცოდეს — რას შესთავაზებენ სანაცვლოდ. თუ მისთვის ხელსაყრელი იქნება, ჩააბარებს ყურძენს, თუ არა და, ვერ მოვთხოვთ. არადა, სიღნაღის რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღების თავი და თავი მევენახეობაა. საზოგადოებრივ სექტორში აქ 1550 ჰექტარი ვენახი დარჩა, რომელიც ახლა მთლიანად გასხლული და გარემონტებულია. გულების რიგთაშორისი სამუშაოები ჩატარდა. შეძლებისდაგვარად შეიწამლა კიდეც. შხამქიმიკატები დეფიციტია. ამიტომ მათი შემოტანა, საზოგადოებრივი ვენახებისა და კერძო სტრუქტურის უზრუნველყოფა ღვინის ქარხნებს დაევალათ. გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება ღვინის ქარხანასა და მეურნეობას შორის, თუ საჭირო რაოდენობით ქიმიკატს არ მისცემს, ისე მეურნეობა ყურძენს არ ჩააბარებს.

აგროკომპლექსის მუშაკებთან საუბარში გამოიკვეთა აზრი, რომ პრივატიზაცია ნაჩქარევად დაიწყო, გლეხს მიწა კი მიეცა, მაგრამ მისი მომარაგება ვერ უზრუნველვყავითო, — ამბობენ სპეციალისტები და მართალნიც არიან.

— თუ ადრე მევენახეობა ერთ-ერთ რენტაბელურ დარგად ითვლებოდა და დარგების ზარალი მისი შემოსავლიდან იფარებოდა, დღეს ცნობილი მიზეზების გამო ფაქტობრივად სიტუაცია შეიცვალა, — ამბობს ბატონი გივი და აგრძელებს, — მოსახლეობამ უკვე იგრძნო, რომ ყურძნიდან მიღებული შემოსავლით ის ოჯახს ვერ დაპურებს, ის კი არა, დანახარჯებსაც ვერ ფარავს. ამიტომ არის, რომ პრივატიზებულ ვენახების ნაწილი ამოიძირკვა და ამ ფართობებზე მარცვლეული ან ბოსტნეული მოჰყავთ.

ვენახების შემდგომი განვითარებისათვის რაიონული გამგეობის გადაწყვეტილებით ქუმბათის მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობა სანერგე მეურნეობად გარდაიქმნა. საპროექტო სიმძლავრეს რომ დაუბრუნდეს, ამ მეურნეობამ 2-2,5 მილიონი ცალი ვაზის და 100 ათასზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ნერგი უნდა მოგვცესო.

სოფლის ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და საზოგადოებრივ მეურნეობებში ეკონომიკის გაძლიერების მიზნით გადაწყვიტეს განხორციელდეს მწარმოებელი და გადამმუშავებელი საწარმოების ინტეგრაცია. ერთ უღელში მყოფნი, ერთმანეთის ბედისადმი გულგრილნი არ იქნებიან. საჭიროდ მიაჩნიათ გადამმუშავებელი მრეწველობის ეკონომიკა სწორედ სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად გამოიყენონ. ხომ ცნობილია, რომ გადამმუშავებელი დღეს ჩალის ფასად იბარებს ყურძენს, მიღებული პროდუქციის გადამუშავებით კი საკმაო მოგებას იღებს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ღვინის მარნები საზოგადოებრივ მეურნეობას უნდა შეუერთდნენ, და არა პირიქით.

რაიონის გამგეობაში იმსჯელეს და გადაწყვიტეს უკვე უახლოეს 2-3 წელიწადში 1500 ჰექტარი ვენახი გააშენონ, რაც რაიონის ეკონომიკის ძლიერების წყარო გახდება.

...ამ რამდენიმე ხნის წინათ, ადრინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით, სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობა, ისევე როგორც სოფელი ბოდბისხევი, ორად გაიყო.

ერთ-ერთს ახალგაზრდა სპეციალისტი თემურ კიკილაშვილი ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კოლმეურნეობა ერთნაირად გაიყო, შედეგი არათანაბარია. განაყოფ კოლმეურნეობაში შრომის მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ, ამიტომ მისი წევრები ცხოვრების უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. მოხდა სამწუხარო შედეგი, სოფელი ორად გაიყო. ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში თავმჯდომარეებს ზედიზედ ცვლიდნენ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. სოფლის მომავლით დაინტერესებულმა ადამიანებმა თავიანთი მოსაზრებები რაიონის დღევანდელ თავკაცს წარუდგინეს და სოფლის გაერთიანება მოითხოვეს, საიდანაც უმალვე მიიღეს პრაქტიკული დახმარება... ორივე კოლმეურნეობა შეერთდა და აგროფირმად გადაკეთდა, რომელსაც „ჯუგაანი“ დაარქვეს. მას კვლავ საქმის მცოდნე და უნარიანი ახალგაზრდა კაცი თემურ კიკილაშვილი თავკაცობს.

— მაგრამ გამგებელი და მთლიანად საკრებულო მარტო სოფლის მეურნეობის საკითხებით ვერ შემოიფარგლება, — საუბარი განაგრძო საკრებულოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების გამგემ მზია ასანიშვილმა, — მისახედია სკოლები, გზები, კულტურის კერები, რაიონში 280 ლტოლვილი გვყავს შეფარებული, უჭირთ აქაურებს, მაგრამ ლტოლვილებს უფრო მეტად. გამგეობა ცდილობს ყოველმხრივ შეუმსუბუქოს მათ უსიხარულო ყოფა. დღევანდელმა ცხოვრებისეულმა პირობებმა საოცრად მოამრავლა სოციალურად დაუცველი ადამიანები, პენსიონერები, მარტოხელები, ინვალიდები, რომლებსაც არსებობის არავითარი მატერიალური შესაძლებლობანი არ გააჩნიათ. სწორედ რაიონის გამგეობის ინიციატივით მოხერხდა ქ. სიღნაღსა და წნორში ორი უფასო სასადილოს გახსნა.

მხარდაჭერასა და დახმარებას ითხოვს ჩვენს რაიონში არსებული სარაჯიშვილის, ახმეტელის, მოსულიშვილის, შანშიაშვილის, გოძიაშვილის, მოსაშვილის, ევდოშვილის და სხვათა მემორიალური და სახელმწიფო მუზეუმები. თითქოს ცხოვრება თავიდან დავიწყეთ, ერთი კია, კახეთი ყოველთვის ბურჯად ედგა საქართველოს, როგორც შრომაში, ისე ბრძოლაშიც.

ხალხის ნდობას და პატივისცემას დაფასება უნდა, სიღნაღელებს იმედი აქვთ და სწამთ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება და ცხოვრება უკეთესობისაკენ წარიმართება. შეძლებისდაგვარად ყველაფერსაც აკეთებენ საამისოდ.

ნაზი იმნაიშვილი,
„სრ“ სპეც. კორ.

იქნება დანაპირები ჩაის ფოთოლი!

ამას წინათ თერჯოლაში გამართულ სეზონის დაწყებასთან დაკავშირებულ მეჩაიეთა რაიონულ თათბირზე გარკვევით ითქვა, რომ ჩაის პლანტაციების დამუშავებისათვის უნდა მოგვარდეს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მომარაგების საქმე, ბოლოს და ბოლოს უნდა გადაწყდეს მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესების საკითხი. ამასთან, იმედის ნაპერწკალი აკიაფდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განცხადებაში. შრომა აუცილებელი პირველი მოთხოვნილების საქონლითაც ანაზღაურდესო.

განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო მეჩაიეთა მატერიალურ სტიმულირებას და დარგის შემდგომ აღმავლობას. თერჯოლელმა მეჩაიეებმა ფაბრიკაში გადასამუშავებლად 200 ტონაზე მეტი ხარისხიანი ჩაის ფოთოლი მიიტანეს, რაც შარშანდელთან შედარებით 174 ტონით მეტია.

დანაპირები ანაზღაურებიდან მეჩაიეებმა 500 კილოგრამი მარგარინი მიიღეს. დამატებით ისინი შაქარს, მარილს, ასანთს, სარეცხ ფხვნილისა და სხვა პროდუქტებსაც მიიღებენ.

ჩაის კრეფის ტემპი თერჯოლაში ძლიერდება. დაწინაურდნენ ეწრის, ზედა სიმონეთის, ჭოგნარის, ბარდუბნისა და გოგნის მეჩაიეები.

წლეულს რაიონში გადაწყვეტილია 650 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა და გადამუშავება, მისი შესრულების გარანტიას იძლევა მეჩაიეთა განწყობა და მთავრობისა და რაიონის ხელმძღვანელობის მატერიალური წახალისების ღონისძიებები.

ჰენრი შარიქაძე.

სოფლები—დამოუკიდებელ ბიუჯეტზე

დღეს სოფლად სულ უფრო მეტ ძალას იკრებს ახალი პოლიტიკური ეკონომიკა. ინერგება ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და მართვის ავტონომიური პრინციპები. მალე სოფლებს საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ექნებათ დამოუკიდებელი ფინანსური ბაზა, ეს კი მოითხოვს სოფლების გამგეობათა პასუხისმგებლობის ამაღლებას საკუთარი შემოსავლების წყაროების გასადიდებლად. ამასთან, ბუნებრივია, უნდა ამაღლდეს სოფლების ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო სექტორის, საწარმო-ორგანიზაციებისა და კომერციული სტრუქტურების პასუხისმგებლობაც დასახული საწარმოო-საფინანსო დავალებების შესასრულებლად, რადგან ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო სწორედ სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურებია. **ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, რაიონის სოფლები დამოუკიდებელ ბიუჯეტზე იქნებიან 1994 წლის 1 ივლისიდან.**

ოდიკ ქუხილა
„სრ“ საკ. კო

ვერაფერი ვერ დაფარავს ხალხის გზას მათკენ...

სამხედრო მფრინავი ჯიმშერ მაისურაძე თავის ცხოვრებაში უკანასკნელად დაეშვა იქ, სადაც დაიბადა: გმირი მფრინავი, რომელიც საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლებში დაიღუპა, დაკრძალულია თავის წინაპართა მიწაზე ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთში. სოფლის განაპირას საფლავის გვერდით სამუდამო ყარაულში გარინდული ტყვიებით დაცხრილული მისი შვეულმფრენი.

...ჯიმშერ მაისურაძე, ქიული შარტავა, ვახტანგ თედიაშვილი, მამუკა ბარათაშვილი — სამშობლოს იმ სახელოვანი შვილების მთელი ნუსხაა, რომლებმაც თავი დადეს აფხაზეთში. მათი საგმირო საქმეები არასოდეს მიეცემა დავიწყებას, ისინი სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში, რადგან. ჩადენილია სამშობლოს საკეთილდღეოდ. 25 ივნისს მათი საფლავები გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიების მონაწილეებმა, რომელიც მოეწყო ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანის მკვიდრის, აქტიური საზოგადო მოღვაწის ბონდო კობაძისა და კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით. ღონისძიება საგარეჯოში დაიწყო სახელგანთქმული სპორტსმენის, ამჟამად კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ლევან თედიაშვილის ვაჟის ვახტანგის საფლავთან, რომელიც 19 წლისა დაიღუპა, და გაგრძელდა ლაგოდეხში.

ღონისძიებაში, რომელიც არსებითად კახელების, იმათი ხსოვნის დღედ გადაიქცა, ვინც მტრის ტყვიამ განგმირა მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალის მოხდისას, მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი სპორტსმენები, რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი. აკადემიკოსები სიმონ ხეჩინაშვილი, ზაალ კახიანი, პროფესორი, ონკოლოგი გივი ორჯონიკიძე, დოცენტი, ტრავმატოლოგი ელიშუკ ქოჩრაშვილი, ბევრი სხვა მათი კოლეგა, რესპუბლიკაში ცნობილი მედიკოსები მივიდნენ ლაგოდეხის რაიონულ საავადმყოფო-პოლიკლინიკაში, სადაც ექვსი საათის განმავლობაში იღებდნენ რეგიონის სხვადასხვა რაიონიდან იქ ჩასულ ავადმყოფებს, უწევდნენ მათ საჭირო პრაქტიკულ და საკონსულტაციო დახმარებას.

კინოთეატრ „გაზაფხულის“ ფოიეში გაიმართა ერთდროული სეანსი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი შესანიშნავი ჩემპიონები ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კახეთში მათ ეზრდებათ ღირსეული ცვლა — 11 წლის მოჭადრაკე ანიკო მათნაძე, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ ევროპის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა 12 წლამდე ასაკის გოგონათა შორის. კინოთეატრის დარბაზში კი მოეწყო შეხვედრა, რომელზეც კახეთის თავდადებული შვილები გაიხსენეს საქართველოსმეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრია აფაქიძემ, ქიული შარტავას სახელობის ფონდის პრეზიდენტმა რობერტ ღარიბაშვილმა, რუსთავის ქარხანა „აზოტის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ნოდარ კურტანიძემ, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობმა ზინაიდა კვერენჩხილაძემ და სხვებმა...

გვიან საღამომდე გაგრძელდა ეს არაჩვეულებრივი ღონისძიება, რომელიც მისი ორგანიზატორების ჩანაფიქრით ტრადიციული უნდა გახდეს.

ქართველი ბავშვები იტალიაში

თითქმის ერთი თვეა, რაც აფხაზეთიდან ლტოლვილი 7-12 წლის 116 ქართველი ბავშვი იმყოფება იტალიის ქალაქ პალერმოში. ეს უდიდესი საქველმოქმედო აქცია ითავა საზოგადოება „საქართველო-იტალიამ“ და მისმა პრეზიდენტმა ვახტანგ ესვანჯიამ. საქინფორმის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მას პალერმოში.

— ძნელია გადმოგცეთ ის შეხვედრა, რომელიც პალერმოში მოგვიწყვეს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქალაქი გამოვიდა ქართველი ბავშვების დასახვედრად, მანამდე კი ქალაქის მუნიციპალიტეტს ძალზე დიდი სამუშაო განუხორციელებია — შეუქმნია სპეციალური განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს შესანიშნავი ქალბატონი ლაურა იაკოვანი. განყოფილების მოვალეობაა იმ სამი თვის განმავლობაში, როდესაც ქართველი ბავშვები ქალაქში იქნებიან, მეურვეობა გაუწიოს მათ, მოაგვაროს ყველა დიდი თუ პატარა პრობლემა. ეს შესანიშნავი მანდილოსანი მართლაც რომ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. ყველაფერი ისე მაღალ დონეზეა ორგანიზებული, რომ პრობლემები, ყოველ შემთხვევაში ჯერ, არ წამოჭრილა.

დახვედრისთანავე ბავშვები შესანიშნავ სუფრაზე მიიწვიეს. დასვენების შემდეგ მათ გაიარეს სამედიცინო შემოწმება და ექიმებმა თითოეულ მათგანზე შეადგინეს დასკვნა, სადაც აღნიშნეს, თუ რა სახის სამედიცინო დახმარება, ანალიზი და მკურნალობა ესაჭიროებათ შემდეგ. და ეს მინდა სპეციალურად აღვნიშნო, ბავშვები პალერმოს მოქალაქეთა ოჯახებს მიამაგრეს, რომლებსაც დიდი შემოწმების და შესწავლის შემდეგ მიეცათ საშუალება უმასპინძლონ მათ. მკურნალობასთან ერთად ბავშვები დადიოდნენ სკოლაში, სადაც იტალიურ ენას, ცეკვებს, ხელობას სწავლობდნენ, მონაწილეობდნენ სპორტულ ღონისძიებებში. სტუმარ-ბავშვთა უმრავლესობა მხატვრული თვითშემოქმედების წევრები არიან და მათი ძალებით მრავალი კონცერტი გაიმართა. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა ქალაქის პარკებში, სადაც ქართველი და იტალიელი ბავშვები ერთობლივ კონცერტებს მართავენ. ქართული სიმღერები და ცეკვები იტალიელი მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებს.

ახლა იტალიის სკოლებში არდადეგები დაიწყო. ბავშვების ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მკურნალობა არ ესაჭიროება, თავიანთმა „დედობილებმა და მამობილებმა“ აგარაკებზე წაიყვანეს. ისინი კი, ვინც პალერმოში დარჩნენ, კვირის ბოლოს თავს იყრიან და ექსკურსიებზე, ქალაქგარეთ გასასეირნებლად, ზღვის აბაზანების მისაღებად ერთად დადიან. ამ დღეებში ისინი თეატრში იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ ენა არ იციან, ძალზე დიდი სიამოვნება მიიღეს. თუმცა, მოგეხსენებათ, ბავშვი ენას უფრო იოლად ითვისებს, ვიდრე უფროსი. ბევრი ბავშვი იმდენად ფლობს უკვე ენას, რომ ამის პრობლემა აღარ არის. თუმცა თუ ასეთი მოხდება, მუნიციპალიტეტში ორგანიზებული სადღეღამისო მორიგეობა პრობლემას იმწამსვე გადაჭრის.

ბავშვებმა მოიკეთეს, შესანიშნავად გამოიყურებიან. გამოხალისდნენ, ბევრი ახალი ტანსაცმელი მიიღეს საჩუქრად. თუმცა, დროდადრო მათ თვალებში სევდას ამოიკითხავ — ენატრებათ თავისი მშობლიური სოხუმი, წამდაუწუმ ახსენებენ მას, რადგან პალერმოც ზღვისპირა ქალაქია და მართლაც ძალიან ჰგავს სოხუმს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გადავცე ბავშვების მშობლებს, რომ ყველა კარგად არის და ერთადერთი, რაზედაც სწუხან — ნეტავ დრო მალე არ გავიდესო... თუმცა ახლა ძალიან ენატრებით...

აღიარება

სრულიად საქართველოს საბავშვო ფონდის აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

სრულიად საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისა და აქტიური საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის აკაკი წერეთლის სახელობის პრემია მიენიჭათ:

გიორგი ბაგრატიონს — შალის პირველადი დამუშავების ფაბრიკის დირექტორს,
ნუნუ დულაშვილს — კომპოზიტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს,
თეიმურაზ ეგაძეს — საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს საბავშვო ფონდის უფროს რეფერენტს (გარდაცვალების შემდეგ),
ნათელა ვასაძეს — საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფესორს,
ბორის კანდელაკს — საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს,
ალბერტ ლიხანოვს — საბავშვო ფონდების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს, მწერალს,
ლამარა მარგველაშვილს — საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს,
მიხეილ მინდაძეს — საქართველოს სამარიტელთა კავშირის პრეზიდენტს,
რომან რურუას — სააქციო საზოგადოება „ლელოს“ პრეზიდენტს,
ჯემალ სეფიაშვილს — კომპოზიტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს,
გურამ ქაშაკაშვილს — რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალურ დირექტორს,
თეიმურაზ ქევხიშვილს — ლოტბარს, საქართველოს სახალხო არტისტს,
მიხეილ ქურდიანს — მწერალს, დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტს,
გიორგი შალამბერიძეს — საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის დირექტორს,
ნიკო შველიძეს — საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს,
ლავრენტი ჭიჭინაძეს — საბავშვო მწერალს,
მარინა ხანთაძეს — საქართველოს საბავშვო ფონდის აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის წევრს.

სრულიად საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობა გულითად მადლობას მოახსენებს აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ახალ ლაურეატებს გაწეული მუშაობისათვის და კვლავაც დიდ წარმატებებს უსურვებს მათ თავიანთ უანგარო, საშვილიშვილო მოღვაწეობაში.

ფოთის ნავსადგური დღეს და ხვალ

ქალაქი ფოთი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი სატრანსპორტო კვანძია, რომლის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მისი ფუნქციის ზრდამ თავის დროზე მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქალაქის მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარება.

სამწუხაროდ, ქალაქში ექსპრეზიდენტის შეიარაღებული ფორმირებების ყოფნის პერიოდში საგრძნობლად დაზიანდა და დაზარალდა ნავსადგური. მან ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება. ავადმოსაგონარი პერიოდის დამთავრების პირველი დღეებიდანვე, როგორც რესპუბლიკის მთავრობის, ასევე ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უმთავრესი საზრუნავი გახდა საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო არტერიის აღდგენა-ამოქმედება. ამ უძველესი მდიდარი ტრადიციების საწარმოს კოლექტივის ძალისხმევით ეს ამოცანა მოკლე დროში გადაიჭრა. ამჟამად ნავსადგური მთელი დატვირთვით მუშაობს.

იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა დღეს ფოთის ნავსადგურში და რა კეთდება, რათა ახლო მომავალში საქართველოს ეს ერთ-ერთი დიდი საზღვაო [illegible] მინიმალურად მაინც შეესაბამებოდეს საერთაშორისო მოთხოვნებს, გვესაუბრებიან ნავსადგურის ხელმძღვანელები.

ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის უფროსი **ვალერი გეგიძე:**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა ყურადღება გავამახვილო ქალაქ ფოთისა და მისი ნავსადგურის მნიშვნელობაზე რესპუბლიკის ინფრასტრუქტურაში. ძირითადი ტვირთნაკადები, რომლებმაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე გაიაროს, წარმოიქმნება, ერთი მხრივ, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, და მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთში —ირანში, ავღანეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში. ამის შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში დამუშავდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების წინასწარი მოსაზრებები, რომლებიც განიხილეს და ძირითადად მოიწონეს ევროგაერთიანების კომისიის მიერ ბრიუსელში გამართულ ერთობლივ სამუშაო თათბირზე, რომელიც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პრობლემებს იხილავდა. სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო გადაზიდვებთან ერთად გათვალისწინებულია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის რეზერვების ამოქმედება, რაც, უპირველეს ყოვლისა, კარგი სანაოსნო ტრადიციების მქონე ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებს ეხება.

ფოთის მნიშვნელობის ზრდას, მისი სატრანსპორტო ფუნქციის განვითარებას, სხვა გარემოებებთან ერთად, განაპირობებს მისი საკმაოდ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი, ყოველმხრივ ხელსაყრელი მდებარეობა. აქ განლაგებულია მანქანათმშენებლობის, სამშენ მასალათა, კვების, მსუბუქი მრეწველობის ობიექტები, სადაც ათი ათას კაცზე მეტია დასაქმებული. საკმაოდ არის განვითარებული ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. მას აქვს მდიდარი ტურისტული სარეკრეაციო შესაძლებლობები, რასაც კოლხეთის უნიკალური ლანდშაფტი განაპირობებს.

ფოთი რესპუბლიკის ძირითადი ნავსადგურია მშრალი ტვირთების გადასაზიდად, რომლის წილი ამ სახის ტვირთებში 80 პროცენტს შეადგენს. ძირითადად ეს ეხება ნაყარ და აწევად ტვირთებს, მათ შორის მადანს, ქვანახშირს, ხორბალს. ტვირთგამტარუნარიანობის შემდგომ ზრდას ხელს უწყობს ისიც, რომ ფაქტობრივად შეუზღუდავია ნავსადგურის ტერიტორიული განვითარების შესაძლებლობები, რაც ნავსადგურისა და ქალაქის ურთიერთხელსაყრელი განლაგებით არის განპირობებული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფოთის ნავსადგურთან კავშირში შესაძლებელია შეიქმნას სპეციალიზებული ტერმინალები: ყულევში — მდინარე ხობის შესართავთან — თევზის რეწვისა და გადამუშავებისათვის და სუფსაში — თხევადი ტვირთებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ტვირთების ნომენკლატურისა და რაოდენობის ზრდას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დუნაისპირა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების მოსალოდნელი გააქტიურება უფრო აქტუალურს გახდის საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მჭიდრო ურთიერთკავშირს, რაც გათვალისწინებული იქნება ფოთის ნავსადგურის დაპროექტების შემდგომ ეტაპზე.

შემუშავებულია ნავსადგურის რეკონსტრუქციის ფართო სახელმწიფო პროგრამა. მინდა ყურადღება გავამახვილო ზოგიერთ იმ საკითხზე, რომლებიც გამომდინარეობენ ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროგრამიდან. ეს, უპირველესად, ეხება ფოთის სარკინიგზო კვანძს, რომლის კოლექტივი დღესდღეობით თავს ართმევს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ აქ დაგროვდა როგორც საწარმოო-ტექნიკური, ასევე სოციალური ხასიათის მრავალი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც უნდა მოხდეს ნავსადგურის რეკონსტრუქციის პარალელურად, ან უფრო ადრეც. ესენია: კვანძის გამტარუნარიანობის ზრდა, მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, სალიანდაგო მეურნეობის მოწესრიგება, სავაგონო და სალოკომოტივო პარკის შევსება. აქვე მინდა დავძინო, რომ ნავსადგურის რეკონსტრუქციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქის ინფრასტრუქტურის საკითხები, კერძოდ, ენერგომომარაგება, წყალმომარაგება, ბუნებრივი გაზსადენის მშენებლობა, საქალაქო ტრანსპორტის, განსაკუთრებით ელექტროტრანსპორტის განვითარება, ქუჩების კეთილმოწყობა და სხვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხები მეტნაკლებად ასახვას პოულობს ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტში.

ცალკე მინდა შევეხო ფოთის აეროპორტის საკითხსაც. მართალია, ამ ბოლო დროს ამუშავდა სენაკის მძლავრი აეროპორტი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იგი მაინც ვერ გადაწყვეტს ქალაქ ფოთისა და ფოთის ნავსადგურის საჰაერო კავშირების პრობლემას. ამიტომ აუცილებელია გადაწყდეს ფოთის აეროპორტის განვითარების საკითხიც.

ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში სახელმწიფო, კომერციული ტვირთებისა და ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიის დაცვასთან დაკავშირებით წლევანდელი წლის დამდეგს გარკვეული პრობლემები არსებობდა, რომელიც მთლიანად დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოში იმ დროისათვის შექმნილ რთულ პოლიტიკურ და კრიმინოგენულ ვითარებასთან. დღეისთვის კი ფოთის ადმინისტრაციული ორგანოების, სატრანსპორტო პროკურატურის, პოლიციისა და ნავსადგურის უშიშროების სამსახურის ერთობლივი მცდელობით ფოთის სავაჭრო ნავსადგურში მოძალადე შეიარაღებული პირები ველარ შედიან. თითქმის არც ერთი ფაქტი არ დარჩენილა გამოუვლინებელი და ყურადღებამოუქცეველი. ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე გამკაცრებულია საშვების სისტემა. დამატებით შექმნილია და მუშაობს 9 საკონტროლო საგუშაგო.

თუ გავითვალისწინებთ დღეისთვის შემოსულ მრავალ წინადადებასა და ოფიციალურ განაცხადებს საზღვარგარეთის სოლიდური ფირმებისა და კორპორაციებისაგან, რომლებშიც გამოთქმულია სურვილი ტვირთების შემოტანის შესახებ, ფოთის ნავსადგურთან ხელშეკრულებების დადებაზე, შეიძლება თამამად აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში ფოთის ნავსადგურისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება.

ხაზგასმით მინდა შევეხო უმთავრეს პრობლემას —მუშა-მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის სოციალური პირობების გაუმჯობესების საკითხებს. ცნობილია, რომ ჩვენი დოკერი მექანიზატორები ყველაზე ძნელი პროფესიის მუშაკები არიან. ვცდილობთ რაც შეიძლება გავუუმჯობესოთ მათ დღეისათვის შექმნილი ცხოვრების მძიმე პირობები. ამ მიზნით ჩვენივე მოგების გამოყენებით მათთვის შემოვიტანეთ 40 ათასი დოლარის პროდუქტები და დავურიგეთ. ვფიქრობთ, ეს პრაქტიკა შემდგომშიც გავაგრძელოთ. ამასწინათ, მუშებს დავურიგეთ თურქეთიდან შემოტანილი სპეცტანსაცმელები. ვეხმარებით ბინების შეძენა-მშენებლობაში, შვილების, შვილიშვილების სათანადო სასწავლებლებში მოწყობა-შენახვაში.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ნავსადგურის აღორძინების, მისი პერსპექტიული განვითარების საწინდარია რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაცია.

იმისათვის, რომ უკეთ ვიმუშაოთ, მხარში ამოვუდგეთ ქვეყანას ეკონომიკის აღორძინებაში, აუცილებელია სწრაფად შეიქმნას ტრანსპორტისათვის ნორმატიული სახელმწიფო კანონები. უნდა მოისპოს ეკონომიკური სეპარატიზმი — ტრანსპორტი უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს. ფოთის ნავსადგური ეს არის მთელი საქართველოს ნავსადგური და ჩემი ოცნებაა ის მომავალში ვიხილო ისეთი, როგორებიც არის სტამბოლის, ოდესის, მარსელის თავისუფალი ნავსადგურები. ამისათვის ფოთს ყველა პირობა აქვს. მთავარია, რომ მისი განვითარებისათვის მოვიზიდოთ და ფართოდ ჩავაბათ ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები.

ფოთის ნავსადგურის უფროსის მოადგილე მშენებლობის დარგში, ნავსადგურის გაფართოება-რეკონსტრუქციის მშენებარე ობიექტების დირექტორი დევი გვალია:

— ცნობილია, რომ ფოთის ტერიტორიისა და მიმდებარე რაიონების კლიმატი ტენიანი, სუბტროპიკულია. ნავსადგურის რეკონსტრუქციის დროს უპირველესი ყურადღება ექცევა სანაპიროს ფორმირების პროცესს, რათა, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილოთ ნაპირის ჩარეცხვა და მასთან დაკავშირებული ყოველწლიური ხარჯები და, მეორე მხრივ, დავიცვათ ნავსადგურში შესასვლელი არხი დალამვისაგან, რაც შეამცირებს ნავსადგურის საექსპლოატაციო ხარჯებს და გააუმჯობესებს მის მუშაობას. ნავსადგური ღიაა ნავიგაციისათვის მთელი წლის განმავლობაში.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ნავსადგურის ტექნიკური აღჭურვილობა, ექსპლოატაციისა და რემონტის უზრუნველმყოფი ბაზა დღეისათვის ცუდ მდგომარეობაშია. განსაკუთრებით ეს ეხება ლიანდაგზე მოძრავ ამწეებს, ავტომანქანების პარკს, მექანიკურ და ელექტროშემკეთებელ სახელოსნოებს. არასახარბიელო მდგომარეობაშია სასაწყობო და შიდასარკინიგზო მეურნეობაც, არასაკმარისია საჭაპანო კატარღების რაოდენობა.

ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ტვირთბრუნვის საორიენტაციო მოცულობა წელიწადში 12,5 მილიონ ტონას მიაღწევს. ასევე გაიზრდება კონტეინერების, სწრაფფუჭებადი ტვირთების, წყაროს წყლის და სხვა ტვირთების გამტარუნარიანობა. რეკონსტრუქციის მეორე ეტაპის დამთავრების შემდეგ ტვირთბრუნვის მოცულობა წელიწადში 40 მილიონ ტონას გადააჭარბებს. რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის დამთავრებიდან ნავსადგურში შემოსული დასამუშავებელი გემების რაოდენობა (გემთბრუნვა) წელიწადში მილიონ 600 ათასს გადაამეტებს.

გენერალური გეგმის სქემით გათვალისწინებულია გადამტვირთი კომპლექსების (ტერმინალების) განლაგება, როგორც არსებულ, ასევე ახალ საპროექტო ნავმისადგომებზე. აქვე აშენდება 32 ათასი ტონა ტევადობის შუალედური სასაწყობო მეურნეობა. ამის შემდეგ მთლიანად იხსნება გემის მოცდენის პრობლემა. ერთი ტერმინალის წარმადობა იქნება 5 მილიონი ტონა წელიწადში და ამ ნავმისადგომის ამოქმედებით ფოთის ნავსადგურიდან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის მარცვლეულის შეუფერხებელი მიწოდების პრობლემა საბოლოოდ გადაწყდება.

№ 6 ტერმინალი გათვალისწინებულია ქიმიური სასუქებისა და ცემენტის გადასატანად დაფასოებული სახით. ამისათვის იყენებენ გერმანული წარმოების ტექნოლოგიური ხაზის ამწე-დანადგარებს, რომლის შესაძენად უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანულ ფირმა „სლუზაკთან“. ნავსადგურში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს გენერალური ტვირთების № 9 ტერმინალი თავისი სასაწყობო მეურნეობით. აქედან შემოვა შაქარი, პურის ფქვილი, ბრინჯი, მაკარონი და სხვა პროდუქტი. აქ ამ ტვირთების დასამუშავებლად გათვალისწინებულია პორტალური ამწეების გამოყენება. გადატვირთვის სამუშაოები იწარმოებს ძირითადად პირდაპირი ვარიანტით გემი-ვაგონი და პირიქით. გეგმით ასევე გათვალისწინებულია აშენდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი: ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სარკინიგზო და საავტომობილო ბორანი ფოთი-ვარნა. ეს იქნება კავკასია-აზიის დერეფანი, ამით მოხდება ტვირთების გატანა და შემოზიდვა ევროპიდან აზიაში — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის პირველი მერცხალია ნავთობგადასატვირთი დროებითი ტერმინალი, რომელიც უკვე აშენებულია და მოქმედებს. ეს პატარა ტერმინალი დღე-ღამეში ასწრებს 5 ათასი ტონა დიზელის საწვავისა და ნავთის გადამუშავებას. ამ მიზნით განზრახული იყო ახალი აუზის აშენება, მაგრამ იგი შეიცვალა ძველი დიდი ტანკერით „ბაგრატიონი“. ტანკერი ზღვაში ვერ გადის, ადგილზე დგას, შემოსული ტანკერებიდან იღებს ნავთობპროდუქტებს და ვაგონ-ცისტერნებში ასხამს (ან პირიქით.) ასე რომ, ბიზნესმენებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეუფერხებლად, შეუზღუდავი რაოდენობით შემოიტანონ ნავთობპროდუქტები.

ნავსადგურში, ამ და სხვა სიახლეების გარდა, პარალელურად განვითარდება მცირე მექანიზაციის ბაზა, ფაქტობრივად იგი ახალი აშენდება. ასევე აშენდება ცენტრალური სარემონტო სახელოსნოები, აგრეთვე — ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ხუთი ბლოკი. ერთ მათგანში განლაგდება გამაჯანსაღებელი პუნქტი.

სამგზავრო კომპლექსის მოწყობა გათვალისწინებულია [illegible] დგომზე. მისი სიმძლავრე უზრუნველყოფს [illegible] სატრანსპორტო [illegible] მომსახურებას (კომპლექსი მოემსახურება 3 მილიონ 500 ათას მგზავრს წელიწადში).

ფაქტობრივად დღეისათვის დამუშავებულია რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც მალე წარედგინება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის ცალკეული ობიექტების მიხედვით დამუშავება.

ნავსადგურის რეკონსტრუქციის ძირითადი დამპროექტებელია „საქსახპროექტი“ (დირექტორი — რევაზ თოფურია), გენერალური მოიჯარეა სახელმწიფო ფირმა „ხიდი“ (გენერალური დირექტორი — ბორის პილვარია). ცალკეული სპეცსამუშაოების შესასრულებლად მოვიწვევთ შესაბამის სპეციალიზებულ ორგანიზაციებს. ამჟამად, ყოველ ოთხშაბათს იმართება ნავსადგურის გაფართოება-რეკონსტრუქციის შტაბის ოპერატიული სხდომა, რომელსაც ნავსადგურის უფროსი ვალერი გეგიძე უძღვება.

ნავსადგურის № 1 კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი დავით კულუა:

— თითქმის ორმოცი წელიწადია, ბრიგადირად ვმუშაობ, ჩვენს ბრიგადაში 104 დოკერი მექანიზატორია. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის უხელფასოდ ვმუშაობთ: სამწუხაროდ, კუპონებით მაღაზიებსა და ბაზარში ვერაფერს ვყიდულობთ. ნუთუ არ შეიძლება, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაწარმი ასანთი, სიგარეტი, საპონი, სარეცხი ფხვნილი, თეთრეული, თოხი, ბარი და სხვა ფართო მოხმარების საქონელი, მედიკამენტები მაინც კუპონებით იყიდებოდეს? ყველაფერში რუსულ ფულს ითხოვენ, იმასაც — მამასისხლად! მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენი კოლექტივი მაინც ოპტიმისტურად შეჰყურებს ხვალინდელ დღეს და სჯერა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება.

ნავსადგურის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ჩილაჩავა:

— ნავსადგურის ხელმძღვანელობა და პროფკავშირის კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას უთმობენ მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას. მუშებს რეგულარულად ვურიგებთ სასურსათო პროდუქტებს, ზოგ შემთხვევაში უფასოდ, ზოგჯერ კი — 50-60 პროცენტის ფასდაკლებით. არ ვივიწყებთ ომისა და შრომის ვეტერანებს. ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე გვაქვს სამი სასადილო, რომლებიც შეთანხმებული გრაფიკით მუშაობენ. მუშები ძირითადად დაკმაყოფილებული არიან სპეცტანსაცმლით. ნავსადგურმა მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ოცი წლის ვადით იჯარით აიღო ადრე გაშენებული ფოთის ოლიმპიური კომპლექსი. ეს კომპლექსი მოემსახურება აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, განზრახულია აშენდეს ოთხვარსკვლავიანი თანამედროვე სასტუმრო, რომელსაც თურქულ-ამერიკული ფირმა განახორციელებს...

იოსებ გოგეჩია,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსმა ნუგზარ ნავაძემ ახალი წლის წინა დღეებში გამანდო, რომ თანამდებობიდან გადადგომას აპირებდა. იმ პერიოდისთვის მოსამზადებელი ინტერვიუც ამ მიზეზით გადაიდო. გადადგომის მოტივი უქვეტექსტოდ ასე იკითხებოდა: გამოცდილი ხელმძღვანელი სამგზავრო ტრანსპორტის უმოქმედობის გამო თანამოქალაქეთა წინაშე უხერხულ მდგომარეობაში იყო. შემდგომ გავიგე, რომ გადადგომაზე უარი მიუღია.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ელექტროენერგიის დეფიციტისა და უსაწვავობის მიუხედავად, ბევრს ეცადა როგორმე მოეხერხებინა გეგმიური რაოდენობის მოძრავი შემადგენლობის ხაზზე გაშვება, მაგრამ უშედეგოდ. ქუჩებში თანდათან შემცირდა სახელმწიფო ტრანსპორტი, ამასობაში კომერციამ იძალა და გაჩერებებზე საათობით მომლოდინე გატანჯული მგზავრები იძულებულნი გახდნენ უსაშველოდ გაძვირებულ კერძო ტრანსპორტს დასჭერებოდნენ. ქალაქში ტრანსპორტის მესვეურებზე ჭორმა იმატა. ასე იყო თუ ისე, ნუგზარ ნავაძეს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო. და, რადგან მისთვის ძირითადი და მთავარი თბილისელთა ერთგული სამსახური იყო, მუშაობა გააგრძელა. იმავდროულად საჭირო გახდა გაერთიანებისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა. მიმდინარე წლის დასაწყისში გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა მუნიციპალური საწარმო. რას გვპირდება კომპანია „თბილტრანსი“? პირველ რიგში ამ შეკითხვით მივმართეთ კომპანიის თავმჯდომარეს ნუგზარ ნავაძეს.

ქალაქში ტაქსები კვლავ გამოჩნდება

აქტუალური ინტერვიუ

— **სატრანსპორტო** გაერთიანების ბაზაზე თბილისის მუნიციპალური საწარმო-სატრანსპორტო კომპანიის დაფუძნება პირველ რიგში „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის შესაბამისად მოხდა. „თბილტრანსის“ შექმნამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კომპანიისა და მისი წევრი ქვესაწარმოების უფლება-მოვალეობანი, და, რა თქმა უნდა, საგრძნობლად გაზარდა პასუხისმგებლობაც; შესაძლებელი გახდა მუშაობაში ჯანსაღი კომერციული საწყისების დამკვიდრება, რასაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქვესაწარმოებს უფლება მიეცათ ძირითად საქმიანობასთან ერთად, არსებული წესების დაცვით განახორციელონ ნებისმიერი სახის ნებადართული სამეწარმეო საქმიანობა და კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, კომერციულ თუ კერძო სტრუქტურებთან ითანამშრომლონ.

რესპუბლიკაში არსებული უკიდურესად რთული ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მთლიანი კომპლექსის სახელმწიფო დოტაციაზე ყოფნა. აქედან გამომდინარე, რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, განისაზღვრა და მერიის საქალაქო კოლეგიამ დაამტკიცა 27 დოტაციური საავტობუსო მარშრუტი მგზავრობის ფიქსირებული ღირებულებით, რომელმაც ელექტროტრანსპორტთან (ტრამვაი, ტროლეიბუსი) ერთად უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სადღეისოდ შესაძლო მინიმალური სატრანსპორტო მომსახურება. მას ზარალის მიუხედავად (რაც ყოველდღიურად 700 მლ. კუპონს შეადგენს) მთლიანად მერია დააფინანსებს. ამასთან ნება დაგვრთეს კომერციული მარშრუტებიც დაგვეწესებინა. დღეისათვის ქალაქში 34 საქალაქო კომერციული საავტობუსო მარშრუტი, 4 მიკროავტობუსებისა და 20 საგარეუბნო კომერციული საავტობუსო მარშრუტი მოქმედებს. სახელმწიფო კომერციულ მარშრუტებზე მგზავრობის ღირებულება დამეთანხმებით, კერძო მფლობელობის ტრანსპორტის მძღოლთა მიერ დაწესებულ ფასებზე ბევრად ნაკლებია. თუმცა კარგად გვესმის მოსახლეობის იმ ერთი ნაწილისაც, ვინც ამ თანხის გადახდასაც ვერ ახერხებს, ამდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დოტაციური ტრანსპორტის გამართულ მუშაობას. დღეს დოტაციური ავტობუსები დადიან თბილისის ქუჩებში.

თუ ვინმე ხელმიუწვდომელი საქალაქო კომერციული მარშრუტების არსებობას გაუმართლებლად ჩათვლის, მართალი არ იქნება. ამ მარშრუტების აკრძალვით მოსახლეობის ერთ ნაწილს მდგომარეობას გავუუარესებთ.

— ალბათ დიდია მოცდენები და ზარალი?

— რა თქმა უნდა, უაღრესად მძიმე მდგომარეობა იყო. წელს პირველი იანვრიდან 1 აპრილამდე ელექტროენერგიის შეფერხებებით მიწოდების მთლიანმა ჯამმა 51 სამუშაო დღე შეადგინა. დღის ნებისმიერ მონაკვეთში ითიშებოდა დენი და ხაზზე სამუშაოდ გამოსული ტრამვაი-ტროლეიბუსები ქუჩაში რჩებოდა. სამწუხაროდ, არც იმის გარანტია გვქონდა, რომ ხაზზე დარჩენილი ტრანსპორტი დეპოში უვნებლად დაბრუნდებოდა (ისინი ხშირად გაძარცვული გვხვდებოდა). მინდა მოსახლეობის საყურადღებოდ ვთქვა: ნუ გვისაყვედურებენ ელექტროტრანსპორტის უმოქმედობას; თუ მათი ხედვის არეში იქაურობა განათებულია. და აი რატომ: ავჭალის ტრამვაის დეპოდან ვაგონმა ორბელიანის მოედნამდე რომ მიაღწიოს, 6 ელექტროქვესადგური უნდა გაიაროს, თითო ქვესადგური 2 კილომეტრამდე მონაკვეთს კვებავს. 6-ვე ქვესადგური, რომ გამართულად მუშაობდეს, ეს დიდი ბედნიერებაა.

— ხომ არ აგვიხსნით როგორ ჩაუვარდა კერძო ტრანსპორტს მონოპოლია?

— გახსოვთ ალბათ, სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების თუნდაც უმნიშვნელო ზრდასაც კი რა მტკივნეულად აღიქვამდა მოსახლეობა. ამიტომ ყოველთვის ვცდილობდით ფასები მინიმალური ყოფილიყო. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში საწვავისა და საერთოდ მატერიალური რესურსების მწვავე დეფიციტმა და ამაზე ფასების კოლოსალურმა ზრდამ შეუძლებელი გახადა გვეარსება ესოდენ დაბალი ტარიფებით. საწყის ეტაპზე ხელისუფლებამ თავი შეიკავა გაეზარდა მგზავრობის ღირებულება (რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მგზავრთა ინტერესებიდან გამომდინარე). ამით ისარგებლეს არასაუწყებო და კერძო მფლობელობის ტრანსპორტის მძღოლებმა და მონოპოლია საკუთარ ხელში აიღეს.

დღეისათვის ქალაქის მერია ამუშავებს დებულებას „ქალაქ თბილისში ავტოტრანსპორტით მგზავრთა ფასიანი მომსახურების ლიცენზირების შესახებ“, რაც, ვფიქრობ, დაარეგულირებს ქალაქში სხვადასხვა სახის სამგზავრო ტრანსპორტის ქაოსურ მოძრაობას. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ადმინისტრაციულ ორგანოებს, პირველ რიგში კი საგზაო პოლიციას მიენიჭება.

— რას გვეტყვით ტაქსების შესახებ?

— როგორც კი ქალაქში კრიმინოგენური სიტუაცია გაჯანსაღდება და საწვავით მომარაგების საქმეც გაუმჯობესდება, თბილისში უმალვე გამოჩნდება ის 10 ათასზე მეტი კერძო ტაქსი, რომლებიც წლების წინ სახელმწიფო ტაქსებთან ერთად გაქრა თბილისის ქუჩებიდან. რაც შეეხება სახელმწიფო ტაქსებით კომპანიის პარკის შევსებას, ამის გაკეთება შეუძლებელია. ცნობილი ფაქტია: ცივილიზებული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ტაქსები არ მუშაობს. ისიც უნდა გითხრათ, რომ მოლაპარაკება გვაქვს როგორც უცხოეთის, ისე ჩვენს რამდენიმე ფირმასთან და თუ მშვიდობა იქნა, ტაქსის პრობლემა თბილისს აღარ ექნება.

მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ საქალაქო-სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ძირითადი ნაწილი შენარჩუნებულია (1100 ერთეული), ურთულეს პერიოდში სატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, კოლექტივებმა ერთიანი ძალით, შიშველი ხელებით მაინც მოახერხეს ხალხის ქონების დაცვა და გადარჩენა. სადღეისოდ არსებული მოძრავი შემადგენლობიდან ზოგი გაუმართავია, დაზიანებულიცაა, მაგრამ საწვავითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის შემთხვევაში ჩვენ მაინც მოვახერხებთ ხაზზე 450-500 ერთეულის გაშვებას.

— რა მოგცათ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში გადასვლამ?

— ძირეული სატრანსპორტო საწარმოებისათვის, სადაც ფაქტობრივად წყდება სატრანსპორტო პროცესის განხორციელების ბედი, იმ დროისათვის არსებული ოთხსაფეხურიანი ვერტიკალური მმართველობითი სისტემა დავიდა ორ საფეხურზე, რამაც საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის საშუალება მოგვცა. უფრო გარანტირებული გახდა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი დაბალი სამგზავრო ტარიფებით მუშაობის პირობებში დოტაციის მიღება (მარტო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მიღებულია 9 მილიარდი კუპონი).

დედაქალაქის მერია მართვის ის რგოლია, რომელსაც ხელეწიფება კოორდინაცია გაუწიოს ქალაქის იმ წამყვან სამსახურებს, რომელთა გამართულ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობა. უფრო მეტიც: საჭიროების შემთხვევაში მერიას შეუძლია დროის გარკვეულ მონაკვეთში რიგი საქალაქო სამსახურების მუშაობა მთლიანად დაუქვემდებაროს ტრანსპორტზე შექმნილი პრობლემების გადაწყვეტას. (ვგულისხმობთ ფირმა „თელასს“, საგზაო მეურნეობის სამმართველოს, „თბილისწყალკანალს“ და სხვა).

— ბატონო ნუგზარ, ერთი დაგვიანებული კითხვაც. დიდი ხანი არაა რაც გაიფიცა მეტრო და რკინიგზა. როგორი პოზიცია დაიკავა თქვენმა კოლექტივმა ამ ფაქტის მიმართ?

— ღრმად გვწამდა, რომ გაფიცვის მიზეზი და საფუძველი გაჭირვება გახლდათ, თუმცა ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი ამ აქციას უარყოფდა, რამეთუ დღევანდელ დღეს ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასა და ხალხს კიდევ უფრო მეტად დაუმძიმდა ყოფა. ამიტომ გაფიცვას შეგნებულად არ ავუბით მხარი. ვის ვეფიცებით — ერთმანეთს?!

ჩვენი საუბრის ბოლოს ვიტყვი: როგორც ხედავთ, ქალაქში სახელმწიფო ტრანსპორტი მოძრაობს მას შემდეგ, რაც ელექტროენერგიის მოწოდება წევის ქვესადგურებში სტაბილური გახდა. მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ ტრამვაი-ტროლეიბუსები. მაგრამ იცით თუ არა, რომ ამ ფაქტმა ჩვენი ორგანიზაცია დიდ წინააღმდეგობაში ჩააგდო. ერთის მხრივ დავუპირისპირდით კერძო მფლობელობის ტრანსპორტის მძღოლებს, რომელთა შეტევის მოგერიება არც ისე იოლია. ამას გარდა, ნაკლებ თავსატეხს არ გვიჩენს ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო და დაუმთავრებელი შემოწმებები სახელმწიფო ორგანიზაციებიდან. თუმცა, ძნელად თუ გავიხსენებ ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდს, შემმოწმებლები რომ არ გვყოლოდა. დღეს კი ამას გულისტკივილით აღვნიშნავ ხალხისა და კოლექტივის საკეთილდღეოდ, რაც არსებულმა სიტუაციამ და დრომ მოიტანა. ხშირად გადაგვიხვევია და გადავუხვევთ კიდეც ინსტრუქციას. ამიტომ ნუ ჩაგვითვლიან ჩვენს თამამ ნაბიჯებსა და რისკს საეჭვო ქმედებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს საქალაქო ტრანსპორტთან.

ესაუბრა
ია კალანდარიშვილი.

ახალციხის სიახლენი

სასადილო... უფასოდ

ყოველდღიურად სამოცზე მეტ მარტოხელა ხანდაზმულ ახალციხელს მასპინძლობს ქალაქის ცენტრში გახსნილი უფასო სასადილო. სამრეწველო საწარმოების პარალიზების, მძიმე ფინანსური ვითარების პირობებში რაიონის ხელმძღვანელობამ მაინც გამონახა რესურსები და უსახსროდ დარჩენილ მარტოხელა ადამიანებს უფასო კვებით დაეხმარა.

— 64 მარტოხელა ხანდაზმული ადამიანი გავანთავისუფლეთ სხვადასხვა სახის კომუნალური გადასახადისაგან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ახალციხის რაიონული გამგეობის თავმჯდომარემ ნუგზარ სარჯველაძემ. — მათ შეძლებისდაგვარად სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც ვეხმარებით. არ გვავიწყდება აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებიც. ახლა ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ მთელი სიმძლავრით ავამოქმედოთ სამრეწველო საწარმოები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრე და გავაჯანსაღოთ ეკონომიკა. ამ გზით მოპოვებული ფინანსები საშუალებას მოგვცემს საგრძნობი მატერიალური დახმარება აღმოვუჩინოთ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს.

კეთილი გულით მოძღვნილი

ევროთათბირის მისიის წარმომადგენელმა, საერთაშორისო სამართლის ექსპერტმა, ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა მიშელ გაისთლინგერმა ახალციხეში ყოფნისას ქალაქის პირველ, მესამე და მეხუთე სკოლებს საკუთარი ფული — თითოეულს ოცდაათი დოლარი უსახსოვრა უცხო ენების სახელმძღვანელოს შესაძენად.

ბატონმა მიშელ გაისთლინგერმა ჩვენი ყურადღება მხოლოდ ამ კეთილი ჟესტის გამოვლინებით როდი მიიპყრო. ახალციხეში ჩამოსვლამდე მან იმოგზაურა აფხაზეთში, ცხინვალში, ბაკურიანში, ბორჯომში, ახალქალაქში ეთნოკონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაცნობის მიზნით.

რეზო მინდელი.

სააქციო კომერციული ბანკი

„არაგვი ბიზნეს ბანკი"

აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას შეღავათიან პროცენტებში.

კრედიტების გაცემა წარმოებს ყოველ დღე,
გარდა შაბათისა და კვირისა, 15-00 საათიდან 17-00 საათამდე.
ბანკის მისამართია:
ქ. თბილისი, ვ. ფშაველას ქრ. № 16
ტელ: 37-44-51, 93-25-94.

თბილისის დამოუკიდებელი სამედიცინო ინსტიტუტი (კახიანის სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე)

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის სამკურნალო და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებზე

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო სკოლისა და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი ასაკის შეუზღუდავად, სწავლა ფასიანია.

საბუთების მიღება ამა წლის 1 ივლისიდან. **ჩარიცხვა მოხდება გამოცდების შედეგების საფუძველზე ქიმიასა და ბიოლოგიაში ეტაპობრივად. საგამოცდო მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის დამატებით თანხას. მისაღები კონტინგენტი შეზღუდულია.**

აბიტურიენტმა რექტორის სახელზე შემოტანილ განცხადებას უნდა დაურთოს:

1. შესაბამისი სასწავლებლის დამთავრების ატესტატი ან დიპლომი (დედანი);
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ფორმა №086;
3. 4 ფოტოსურათი 3X4;
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

პასპორტს, სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) წარმოადგენს პირადად,

საბუთების მიღება — 1 ივლისიდან, ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 15 საათამდე. სწავლა დაიწყება 12 სექტემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი:
დიღმის მასივი, რკინიგზის პროფ. კახიანის სახ.
საგზაო-კლინიკური საავადმყოფო,
ლიუბლიანის ქ. №5, I სართული,

ტელ: 51-79-28.

მიმღები კომისია

თელავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი

„კახეთი"

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. მათემატიკა-ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა (მათემატიკა. ფიზიკა);
2. ისტორია — (ისტორია);
3. ქართული ენა და ლიტერატურა (ქართული, ისტორია);
4. დაწყებითი განათლება პედაგოგიკა და მეთოდიკა (მათემატიკა);
5. რუსული ენა და ლიტერატურა — ქართული ენა და ლიტერატურით (რუსული);
6. გეოგრაფია — ბიოლოგია (ბიოლოგია, გეოგრაფია);
7. ღვინის ტექნოლოგია (მათემატიკა, ქიმია);
8. მევენახეობა (ქიმია, ბიოლოგია).

აბიტურიენტები გამოცდებს აბარებენ სპეციალობების გასწვრივ ჩაწერილ საგნებში, ამის გარდა, ყველა სპეციალობის აბიტურიენტები აბარებენ წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ჩარიცხვა იწარმოებს გამოცდების შედეგების მიხედვით სწავლის გადასახადის გადახდის შემდეგ.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან, ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე. გამოცდები დაიწყება 5 აგვისტოდან.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტს - ქ. თელავი, ალაზნის გამზირი, №8.

ტელ: 3-24-78.

კინემატოგრაფის 100 წლისთავისათვის

კინოაკადემია სტუმრად მწერლებთან

ნატო ვაჩნაძის სახელობის ქართული კინოს დამოუკიდებელმა საზოგადოებრივმა აკადემიამ დაიწყო მუშაობა და თავისი პირველივე ღონისძიებით შეუერთდა მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღისათვის — კინემატოგრაფის 100 წლისთავისათვის — მზადებას. ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავს მსოფლიოს საზოგადოებრიობა, იუნესკო, რომელთანაც მჭიდრო კავშირი აქვს ქართული კინოს აკადემიას. საიუბილეო ღონისძიებათა შორის გათვალისწინებულია ხელოვანთა და კინომოყვარულთა შეხვედრები, ფილმების პრემიერები, რეტროსპექტივები, კინოკვირეულები და სხვა. პირველი ამ ღონისძიებათა შორის გახლავთ კინემატოგრაფისტთა შეხვედრა მწერლებთან.

ეს შეხვედრა გაიმართება წლეულს, ივლისის პირველ ნახევარში, მწერალთა კავშირის შენობაში. შეხვედრის ზუსტი თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

ამჟერად კინოაკადემია იწვევს მწერლებსა და კინემატოგრაფისტებს, კრიტიკოსებს ქართული კინოს უახლესი პროდუქციის სანახავად კინემატოგრაფისტთა კავშირის კინოდარბაზში 29 ივნისიდან, ოთხშაბათიდან, სადაც ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა). ნაჩვენები იქნება ორი მხატვრული ფილმი, დასაწყისი დილის 11 საათზე.

გთავაზობთ ფილმების განრიგს:

29. 6. — ღამის ცეკვა — ა. ცაბაძე,
რჩეული — მ. კალატოზიშვილი;
30. 6. — ისინი — ლ. ზაქარეიშვილი,
1. 7. — ალყა — ო. გვასალია,
იქ, ჩემთან — ზ. ხალვაში;
4. 7. — ცოდვის შვილები — გ. ჩოხელი,
— სტუმრები — დ. ცინცაძე;
5. 7. — მერცხლები და ბელურები — დ. ურუშაძე,
— ნოე — ნ. მანაგაძე;
6. 7. — ციხე-სიმაგრე — დ. ჯანელიძე,
— ვირთხა — პ. მილორავა;
7. 7. — ვალსი პეჩორაზე — ლ. ღოღობერიძე,
ექსპრეს ინფორმაცია — ე. შენგელაია;
8. 7. — ნათლიღება — ნ. მანაგაძე,
იავნანა — ნ. ჯანელიძე;
11. 7. — უძინართა მზე — თ. ბაბლუანი,
ლეონარდო — დ. ნაცვლიშვილი;
12. 7. — გრანტუსი — ზ. ჩხეიძე,
ერთაწმინდა — ზ. თუთბერიძე;
13. 7. არა მეგობარო — გ. მგელაძე,
ზღვარზე — დ. ცინცაძე.

ასეთსავე ღონისძიებებს ანიმაციური და დოკუმენტური კინოს პროდუქციის განხილვით აკადემია შემოგთავაზებთ უახლოეს მომავალში.

ნატო ვაჩნაძის სახ.
ქართული კინოს დამოუკიდებელი
საზოგადოებრივი აკადემიის
საინფორმაციო ცენტრი

გიწვევთ სასწავლებლად!

კულტურის ფენომენისა და ეროვნული ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის

თბილისის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფსიქოლოგია, სამედიცინო,

2. უცხო ენები და საგარეო უწყებათა მომსახურება (უცხო ენა, საგარეო უწყებათა მომსახურება);

3. ისტორია (მსოფლიოს ისტორია, საქართველოს ისტორია, კავკასიათმცოდნეობა).

4. ხელოვნებათმცოდნეობა (კინომცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, ხელოვნების ისტორია);

5. ჟურნალისტიკა (საერთაშორისო, ტელეჟურნალისტიკა, რადიოჟურნალისტიკა, პრესის ჟურნალისტი);

6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი (საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი, საფინანსო საქმიანობის მენეჯერი, ვაჭრობის მენეჯერი, მენეჯმენტი, ფინანსები და კრედიტი).

აბიტურიენტები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ***1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი); 2. საქართველოს ისტორია; 3. უცხო ენა.***

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალობაზე ნაცვლად უცხო ენისა გასაუბრება-გამოცდას აბარებენ მათემატიკაში.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ***1. განათლების მოწმობა (ატესტატი); 2. სამედიცინო ცნობა ფორმა (086-უ); 3. 4 ფოტოსურათი. ზომა 3X4; 4. პასპორტი, სამხედრო ბილეთი (მიწერის მოწმობა) წარმოდგენილი უნდა იყოს პირადად.***

განცხადებების მიღება — ყოველდღე, გარდა კვირისა; 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №19, მე-4 საშუალო სკოლის შენობაში, ტელ: 95-47-25.

რექტორატი

რეკლამები დამზადებულია ფირმა „დრონის" კომპიუტერულ ცენტრში

ტექნიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
1. ტელე-რადიო ჟურნალისტი
უცხო ენების ფაკულტეტი
1. სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი და საინჟინრო ექსპერტიზა (ინგლისური, გერმანული)
ეკონომიკის ფაკულტეტი
1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა
სამედიცინო აპარატურის ფაკულტეტი
1. ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურის სისტემები
იურიდიული ფაკულტეტი
1. სამართალმცოდნეობა
კავშირგაბმულობის ფაკულტეტი
1. კოსმოსური კავშირგაბმულობა
2. ელექტრონული ფოსტა
3. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა
4. სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემები
5. სატრანსპორტო კავშირგაბმულობა

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების საფუძველზე. სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება იწარმოება 10 საათიდან 16 საათამდე, ყოველდღე გარდა შაბათისა და კვირისა.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ბევრეთის ქ. №8.
ტელ: 98-78-78, 93-22-88. მეტრო 300 არაგველი, კრწანისის მოედანი (ბაგრატიონის ძეგლი).

თბილისის ქიმიისა და კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე.

1. პურის, მაკარონის, საკონდიტრო წარმოების და კვების კონცენტრატების ტექნოლოგია;
2. სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია და მევინეობა;
   ა) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია;
   ბ) სპირტისა და ლიქიორ-არყის ტექნოლოგია;
   გ) მეღვინეობა.
3. პლასტიკური მასებისა და ელასტომერების გადამუშავების ტექნოლოგია.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება გამოცდის შედეგად, რომელიც ჩატარდება მათემატიკასა და ქიმიაში. საბუთების მიღება და გამოცდა-გასაუბრება იწარმოებს ორ ეტაპად:

პირველი- 01 ივლისიდან 15 ივლისამდე, გამოცდა 16 ივლისიდან 20 ივლისამდე;

მეორე - 25 ივლისიდან 30 აგვისტომდე. გამოცდა 1 სექტემბრიდან 5 სექტემბრამდე.

სწავლა ფასიანია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
თბილისი უშანგი ჩხეიძის ქ. № 8
(მეტრო მარჯანიშვილი, ტროლეიბუსი № 1, 14)
ტელ: 95-39-67, პირველი სართული, ოთ. № 132,133.

PIRELLI

„პირელის" ფანტასტიკური, ახალი,

საბურავები

უნივერმაღ „თბილისში"
I სართულზე, უშანგი ჩხეიძის ქ. №2-ში
და თბილისის სხვადასხვა მაღაზიებში.
ფასები ყველგან ერთია.
Pirelli —
თქვენი უსაფრთხოების გარანტია.

მცირე ბიზნესისა და სამომხმარებლო ბაზრის მართვის ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

(ქართულ და რუსულ სექტორზე დღისა და დაუსწრებელ განყოფილებაზე).

1. მცირე ბიზნესისა და საბირჟო საქმიანობის მენეჯერი;
2. მარკეტოლოგ-მენეჯერი;
3. საქონელმცოდნე — კომერსანტი;
4. საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლებამიღებული მოქალაქეები (უმაღლესი განათლების დიპლომიანი მოქალაქეები ჩაირიცხებიან II კურსზე). საბუთების მიღება იწარმოებს 1994 წლის 5 ივლისიდან 14-დან 17 საათამდე, კვირის გარდა.

გამოცდები მოეწყობა (ტესტებით) შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, საქართველოს ისტორიაში. საქონელმცოდნე-კომერსანტის სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიაში, ქიმიასა და საქართველოს ისტორიაში.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება; დოკუმენტი განათლების შესახებ, (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4 ფოტოსურათი (3X4); ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. №086) პასპორტს, სამხედრო ბილეთს (მიწერის მოწმობას) წარმოადგენენ პირადად.

ბიზნესით დაინტერესებულ სტუდენტებს ექნებათ საკუთარი ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობა.

მრავალშვილიანი ოჯახის შვილებისათვის, უდედმამო და ინვალიდი სტუდენტებისათვის დაწესებულია სწავლების შეღავათიანი გადასახადი. ფრიადოსან სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია.

საგამოცდო მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის საფასურს. სწავლა ფასიანია.

სწავლის ხანგრძლივობაა 4 წელიწადი.

ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, მეტრო-ახმეტელის თეატრი, მუხიანის დასახლება,
I მიკრორაიონი, 174-ე საშუალო სკოლა, მე-3 სართული.

ტელ: 62-40-16.

საქართველოს რესპუბლიკის „აგრომრეწვბანკი"

ღებულობს ანაბრებს შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

1. ამერიკულ დოლარებში:
სამი თვით - თვიური 4 %-ის დარიცხვით;
ექვსი თვით - თვიური 5 %-ის დარიცხვით.
2. რუსულ მანეთებში:
ერთი წლით - თვიური 10 %-ის დარიცხვით.
3. კუპონებში:
ერთი წლით - წლიური 360 %-ის დარიცხვით.

სავალუტო ანაბრებზე დარიცხული პროცენტის მიღება მეანაბრეს შეუძლია ყოველთვიურად.

აწარმოებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს, როგორც ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, ასევე მოსახლეობასთან.

აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას შეღავათიანი პროცენტით.

უწევს მოსახლეობას და ორგანიზაცია-დაწესებულებებს დახმარებას სხვადასხვა სავალუტო ოპერაციების განხორციელებაში.

გირჩევთ თქვენი თავისუფალი სახსრები მოათავსოთ „აგრომრეწვბანკის" განყოფილებებში. ჩვენი კლიენტები უზრუნველყოფილნი არიან მაღალი ხარისხის საბანკო მომსახურებით, ანაბრის დაბრუნების მყარი გარანტიით და კონფედენციალობით.

მისამართი:
ქ. თბილისი ხაზინის ქ. № 3 (კოლმეურნეობის მოედანი)

ტელეფონები:
93-11-66, 99-71-60.

სხვა გაზეთებიდან

გაზეთ „შჩიტ ი მეჩის“ შტატგარეშე კორესპონდენტის კონდრატ უბილავას და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლის, პოლიციის მაიორის არტემ ცატუროვის შეკითხვებზე უპასუხებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია:

დროის ნიშანი: ავტომატიანი კაცი

სადარბაზო ბარათი

შოთა ოთარის ძე კვირაია დაიბადა 1952 წლის 5 ივლისს, ქალაქ ცხაკაიაში (ახლანდელი სენაკი), მოსამსახურის ოჯახში. აქვს ტექნიკური და იურიდიული უმაღლესი განათლება. 1977 წლის მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში სოციალისტური საკუთრების დატაცებასა და სპეკულაციასთან ბრძოლის განყოფილების ინსპექტორად. განვლო სამსახურებრივი კარიერის ყველა საფეხური. 1992 წლიდან — საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. ექვსი თვის შემდეგ დაინიშნა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის (ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის) უფროსის პირველ მოადგილედ. 1993 წლის სექტემბრიდან სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს. არის სპორტის ოსტატი ძიუდოში.

— ბატონო შოთა, თქვენ, საქართველოსათვის ძალზე რთულ პერიოდში, სათავეში ჩაუდექით, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, ერთ-ერთ ძირითად ძალოვან სამინისტროს. როგორ აფასებთ კრიმინოგენულ სიტუაციას?

— როგორც ძალზე დაძაბულს. ბოლო წლების დამანგრეველ მოვლენებს, რომელთა თაობაზე მკითხველებს, ალბათ, კარგად მოეხსენებათ, რესპუბლიკაში არსებულ ძალზე დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა დანაშაულობასთან ბრძოლის მდგომარეობაზე. ამ ფაქტორებს უნდა დავუმატოთ ტრაგიკული მოვლენები, უპირველესად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ექს-პრეზიდენტის მომხრეთა მიერ დასავლეთ საქართველოში ფაქტობრივად გაჩაღებული სამოქალაქო ომი. ამ პირობებსა და ვითარებაში ფართო გაქანება ჰპოვა ბანდიტიზმმა, ძარცვამ და ყაჩაღურმა თავდასხმებმა სახელმწიფო და პირადი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, ადამიანთა გატაცებამ ფულის გამოძალვისათვის. როგორც წესი, ამ ქმედებებს ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხორციელდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ დამნაშავეები მოქმედებდნენ თავხედურად, სისასტიკით, ზოგჯერ სრულიად აშკარად, მათზე ზეგავლენას ახდენდა დაუსჯელობის სინდრომი.

ამასთან, 80-იანი წლების დამლევიდან შინაგან საქმეთა ორგანოები სხვადასხვა ოპოზიციური ძალების გამუდმებულ თავდასხმებსა და პრესინგს განიცდიდნენ. ნეგატიური პროცესებს სათავე დაედო 1989 წელს, როცა დაიწყო ეგზალტირებულ-აგრესიული ბრბოს თავდასხმები სამსახურებრივ შენობებზე იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. მაშინ ამას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილშობილური მიზნებით ამართლებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, უკანონობისა და ძალადობის ნიადაგზე თავისუფლებისა და დემოკრატიის ყლორტები ვერ ხარობს, რაც შემდგომში კიდევაც გამოჩნდა. ასეთი გზით გატაცებული იარაღი, როგორც წესი, კრიმინალური ელემენტების ხელში ხვდებოდა.

მოგვიანებით, ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, საჯარო განცხადებების მიუხედავად, რომ პოლიცია დეპოლიტიზებული უნდა იყოს, მას ხშირად იყენებდნენ მისთვის შეუფერებელი მიზნებით — სხვადასხვა პოლიტიკოსთა პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ეს იწვევდა ზნეობრივი და სამსახურებრივი ორიენტირების დაკარგვას, დემორალიზაციას, კიდევ უფრო აქვეითებდა მოსახლეობის თვალში ისედაც სახელგატეხილი პოლიციის ავტორიტეტს.

სულ ბოლო დრომდე რესპუბლიკაში მოქმედებდა მრავალი უკანონოდ შეიარაღებული, როგორც ზოგადად სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ხასიათის, ისე პოლიტიკურ-ტერორისტული მმართველობის დაჯგუფება. ეროვნულ მოძრაობის ტალღაზე ოფიციალური შეიარაღებულ ფორმირებებს მიეტმასნენ დამნაშავე ელემენტები, რომლებიც ასე შეძენილ სტატუსს ანგარებით იყენებდნენ. შედეგად ის ვიღაცეთ, რომ დეკლარირებული კანონის უზენაესობის ნაცვლად სულ უფრო მძლავრობდა ძლიერის უფლება, დროის ნიშნად იქცა ავტომატიანი კაცი. დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ პერიფერიაზე, ტრანსპორტსა და მეტროშიც, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა შეხვედროდით უკონტროლოდ მოსიარულე, სამხედრო ნიმუშის ფორმაში დაუდევრად გამოწყობილ შეიარაღებულ პირებს, რომლებიც, არავინ უწყოდა, რომელ ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ.

ამ უღიმღამო სურათს ავსებდა გამუდმებული შეიარაღებული თავდასხმები, ძარცვა-ყაჩაღობა საავტომობილო და რკინიგზის მაგისტრალებზე. აქ მიმოსვლა ყველასათვის, მათ შორის, უცხოელებისათვისაც დაკავშირებული იყო სერიოზულ რისკთან. საკმარისია, გავიხსენოთ ამერიკის საელჩოს თანამშრომლის ფრედ ვუდრუფის გახმაურებული მკვლელობა, დამნაშავენი დააკავეს და ახლა სასჯელს იხდიან. კრიმინალურმა ჯგუფებმა, შუა საუკუნეების მსგავსად, გადაკეტეს გზები და მგზავრებს ხარკს ახდევინებდნენ, ხშირად კი სულით-ხორცამდე აშიშვლებდნენ. მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სამართალდამცავი ორგანოებისაგან უაღრესად მკაცრი ზომების განხორციელებას წესრიგის აღსადგენად.

— რით გადაწყვიტა ახალმა მინისტრმა თავისი მუშაობის დაწყება? რომელ ამოცანებს ანიჭებთ პრიორიტეტს?

— ამას განსაზღვრავდა საგანგებო წესები, რომელიც შარშან, სექტემბერში შემოვიღეთ პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით. საჭირო იყო, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დაგვეცხრო ძალადობის, ქაოსისა და ანარქიის სულ უფრო მზარდი ტალღა, ჩამოგვერთმია უკანონოდ შენახული იარაღი, აგვეკვეთა ინიციატივა დანაშაულებრივი სამყაროსათვის, თანდათანობით აღგვედგინა მართლწესრიგი და კანონიერება. ამის შესასრულებლად დიდ ძალებს მოვუყარეთ თავი: რესპუბლიკაში დღე-ღამის მანძილზე მოქმედებდა 340 პიკეტი, 140-დან 320-მდე მობილური ჯგუფი.

საგანგებო წესების შემოღების შემდეგ, ვითარება ერთბაშად გაუმჯობესდა. რესპუბლიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, კონფლიქტის ზონების გამოკლებით, მთელი ძალით ამოქმედდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მუშაობას შეუდგა ბევრი საწარმო და ორგანიზაცია, უფრო გამართულად ამოძრავდა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი, მოსახლეობა მარაგდება პურითა და სხვა პროდუქტებით. დაისახა როგორც დანაშაულობათა საერთო რიცხვის, ასე მისი ყველაზე საშიშ სახეობათა შემცირების ტენდენცია.

— რამდენად აქტუალურია საქართველოში ნარკომანიის პრობლემა?

— ამ სფეროში ძალზე შემაშფოთებელი ვითარება იქმნება. ჩვენი რესპუბლიკა შეიძლება სამართლიანად მივაკუთვნოთ განვითარებადი ნარკოტიზმის ქვეყნების რიგს. ამას საერთო კრიზისული მდგომარეობაც ხელს უწყობს.

როგორც ცნობილია, საქართველო არ მიეკუთვნება ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყნებს. ჩვენი შინნახარდი ნარკობიზნესი ძირითადად იმპორტის გზით საზრდოობს. ამიტომ, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა გადავკეტოთ რესპუბლიკაში ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანის არხები. მისი ძირითადი ნაწილი ჩვენთან შემოდის ჩრდილოეთ კავკასიიდან, კრასნოდარის მხარიდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მეზობელი აზერბაიჯანის ნარკოსაქმოსნები, სადაც ირანიდან მაღალი ხარისხის ნარკოტიკული ნივთიერებები, კერძოდ, ოპიუმი შემოდის.

ჩვენკენ გზას იკვლევენ შორეული საზღვარგარეთის ნარკობიზნესმენებიც. მაგალითად, ბათუმის რკინიგზის სადგურში დააკავეს ნიგერიელი მოქალაქე, რომელსაც 222,5 გრამი ოპიუმი აღმოაჩნდა.

— როგორი ურთიერთობა მყარდება რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის?

— ბოლო დრომდე ჩვენი თანამშრომლობა ძალზე შეზღუდული იყო, რაც მხოლოდ დამნაშავე ელემენტებს აძლევდა ხელს. ახლა კონტაქტები სულ უფრო ინტენსიური ხდება. ამაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელმა ვიზიტმა თბილისში, როცა ხელი მოაწერეს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ცოტა მოგვიანებით მოსკოვში ხელი მოვაწერეთ შესაბამის ხელშეკრულებას შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის.

ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამოქმედებას საკითხების ფართო სპექტრით, მათ შორის არის ოპერატიულ-სამძებრო და კრიმინალური ინფორმაციის გაზიარება, ხელის შეწყობა ოპერაციებისა და სამძებრო ღონისძიებების, საპროცესო ქმედებათა განხორციელების დროს, კადრების კონტრაქტულ საფუძველზე მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, მუშაობის გამოცდილების გაზიარება, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების გაცვლა. განზრახული გვაქვს ჩვენი სამინისტროების წარმომადგენლობათა გახსნა შესაბამისად მოსკოვსა და თბილისში.

აღვადგენთ ტრადიციულად მჭიდრო სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ კავშირ-ურთიერთობებს, წყდება საკითხი თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურებაში ურთიერთდახმარების შესახებ.

ერთი სიტყვით, გაწყვეტილი კავშირების აღდგენას, მათ შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას ვუჭერთ მხარს.

„შჩიტ ი მეჩ“.

ქ. მოსკოვი.

ლვაწლი

ქართული მეცნიერული აზრის მოჭირნახულე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის აკაკი სურგულაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. იგი მოაწყვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოებამ.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ. აკაკი სურგულაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკეს პროფესორებმა ავთანდილ მენთეშაშვილმა, მიხეილ გაფრინდაშვილმა, შოთა ბადრიძემ.

მოგონებებით მასწავლებელზე, კოლეგასა და მეგობარზე გამოვიდნენ აკადემიკოსები როინ მეტრეველი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, პროფესორები გივი ჟორდანია, ლევან სანიკიძე, ალექსანდრე ღლონტი, ვალერიან მაჭარაძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე, ჯუმბერ ოდიშელი, რევაზ მიშველაძე, ლევან ხვანაძე, ილია ტაბაღუა, ელგუჯა ხინთიბიძე, ვალერიან დათუკიშვილი.

იმავე დღეს ახლობლებმა, კოლეგებმა, მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მოგვიანებით სახლზე (ჭავჭავაძის პროსპექტი, 24), სადაც ცხოვრობდა აკაკი სურგულაძე, საზეიმოდ გაიხსნა მეცნიერის უკვდავსაყოფი მემორიალური დაფა.

აკაკი სურგულაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა უმთავრესად ეძღვნება საქართველოსა და ამიერკავკასიის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს. იგი ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 29 მონოგრაფიული გამოკვლევაა.

ა. სურგულაძის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის განვითარების პრობლემების შესწავლას. ამ საკითხებს მეცნიერმა რამდენიმე მონოგრაფია უძღვნა, ხოლო ნაშრომმა „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, 1975 წელს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია დაიმსახურა. მკვლევარმა შეისწავლა ეროვნული მოძრაობისა და მისი აქტიური წარმომადგენლების მსოფლმხედველობა, დასაბუთებული პასუხი გასცა კითხვას — რა წყაროებით საზრდოობდა ეროვნული მოძრაობა XIX ს. მეორე ნახევარში, რა იყო მისი სპეციფიკური ნიშანთვისებანი და რა როლი შეასრულა მან ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციისა და სულიერი ცხოვრების ამაღლების საქმეში?

მონოგრაფიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ ახალი სიტყვა ითქვა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე კარდინალურ საკითხზე. საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ვითარების მიმოხილვისას, ავტორმა ცარიზმის პოლიტიკის ხასიათს კავკასიაში, ფრიად საყურადღებო იყო ახლებური შეხედულება 1832 წლის შეთქმულების შესახებ, რომელიც ადრე განიხილებოდა, როგორც რეაქციული მოვლენა.

1989 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“ (წიგნი I) განზოგადებული სახით მოგვითხრობს ქართულ სულიერი და მატერიალური კულტურის, ჩასახვისა და განვითარების რთულ ისტორიულ პერიპეტიებზე. ავტორს მოუხდა კულტურის სხვადასხვა სფეროს შეჯერება, გააზრება, სისტემაში მოყვანა და განვითარების ერთიანი, თანამიმდევრული, უწყვეტი პროცესის წარმოჩენა.

იმ დროს უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული კულტურის ისტორიის კათედრა, მრავალ ფაკულტეტზე იკითხებოდა ქართული კულტურის ისტორიის ზოგადი კურსი. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, რამდენად დროული და აუცილებელი იყო საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევების მიწოდება, კულტურის ისტორიის ამოცანათა გარკვევა, სინთეზური მიდგომის დასაბუთება და პრაქტიკულად ჩვენება, თუ როგორ უნდა შეიქმნას თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნების შესაბამისი კურსი. ეს საჭირო იყო, როგორც სასწავლო პროცესისათვის, ასევე ქართული ისტორიის მომავალი მრავალტომეულის შექმნისათვის. პროფ. ა. სურგულაძის ეს ნაშრომი ამ მხრივ რეალური ნაბიჯის გადადგმის პირველი, და რაც მთავარია, წარმატებული ცდაა.

სიახლესა და მნიშვნელოვან ისტორიოგრაფიულ მოვლენას წარმოადგენს წიგნი „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში“ (გამოქვეყნდა 1986 წ.), რომელიც ერთგვარად აგრძელებს ავტორის მიერ ადრე დამუშავებულ პრობლემატიკას ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. ამ წიგნში მოცემულია ინტელიგენციის საზოგადოებრივი ღვაწლის ფართო დახასიათება, ნაჩვენებია ის წვლილი, რომელიც შეიტანეს დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სახალხო ბრძოლაში და ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული შემოქმედების განვითარებაში. ამით მან ახალი მიმართულება მისცა ქართველი დემოკრატიული, ინტელიგენციის ისტორიის კვლევის საქმეს და ეს მიმართულება სავსებით შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი შემოქმედებითი ინტელიგენციის კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა, განხილულია იმპერიალიზმის ეპოქის ქართველი მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი აქტიურობა.

პროფ. ა. სურგულაძე რედაქტორი და თანაავტორია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ინიციატივითა და რედაქტორობით მრავალტომეულის VI ტომისა, რისთვისაც, სხვა ძირითად ავტორებთან ერთად, 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

45 წელიწადზე მეტ ხანს ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან დიდი მუშაობა გასწია მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შესაქმნელად. რუსეთის ისტორიაში მისი ლექციების კურსის ორი ტომი აღინიშნა უნივერსიტეტის პრემიით. იგი თანაავტორია საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსი (ტ. II, III) და კოლექტიური მონოგრაფიისა „თბილისის ისტორია“. მისი ნაშრომები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. აღზარდა მეცნიერებათა 5 დოქტორი, მეცნიერებათა 22 კანდიდატი.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა.

ჯერ კიდევ 1956 წლის მარტის ცნობილი მოვლენების დროს ბატონმა აკაკიმ დაიცვა თბილისის საპროტესტო მიტინგებსა და მანიფესტაციებში მონაწილე სტუდენტები, რისთვისაც იგი ისტორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო, ბატონი აკაკი, როგორც ყოველთვის, აქტიურად გამოეხმაურა მიმდინარე მოვლენებს. 1988 წლის აპრილში, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ასლი გადაიწმინდა“, მან, პირველმა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, დასვა საკითხი 1921 წლის საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შესახებ. ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წ. 18 ნოემბრის სესიამ, რომელმაც მოიწონა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის (შეიქმნა 1989 წლის ივნისში) დასკვნა, რომელშიც ნათქვამია: „...საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება — სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია, მისგან გამომდინარე შედეგებით, პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია“, კომისიის დასკვნა სესიას მოახსენა პროფესორმა ა. სურგულაძემ, რომელმაც გააფრთხილა მთელი საქართველო მოსალოდნელი სამოქალაქო ომის რეალურ საშიშროებაზე, სამწუხაროდ, ეს პროგნოზი შემდგომში გამართლდა.

1990 წელს ა. სურგულაძის ინიციატივითა და რედაქტორობით გამოიცა დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რამაც რუსეთის საზოგადოებრიობას საშუალება მისცა, გაეცნობოდა, თუ სინამდვილეში რა მოხდა, 1921 წლის თებერვალში საქართველოში.

პარიზში ხანგრძლივი მივლინების შედეგად დაიწერა ა. სურგულაძის სტატია „იქ, პატარა საქართველოში“, სადაც ავტორმა, ერთ-ერთმა პირველმა ჩვენს პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული სითბოთი გაგვაცნო პარიზში მოღვაწე ქართველი ემიგრანტები. ჩაფიქრებული ჰქონდა წიგნის დაწერა საფრანგეთში მოღვაწე ემიგრანტების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

1990 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, პარიზში მივლინების შედეგად, გამოქვეყნდა აკაკი და პაატა სურგულაძეების საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიაში, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მასში ახლებურად არის ასახული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორასწლოვანი ისტორია. ნაჩვენებია როგორც მეფის, ისე საბჭოთა რუსეთის იმპერიული სულისკვეთება და ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის.

აკაკი სურგულაძის პიროვნების ყოველმხრივი დახასიათება შეუძლებელია მისი ადამიანური თვისებების აღუნიშნავად. იგი იყო გულისხმიერი, თბილი, უშუალო ადამიანი, კოლეგების მიმართ ტოლერანტული, სამართლიანი და ამასთან, პრინციპული, პატრიოტი საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. ამ ნათელი პიროვნების სახელი ყოველთვის ძვირფასი იქნება მთელი ქართული საზოგადოებრიობისათვის.

ავთანდილ მენთეშაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.

საქმიანი საინფორმაციო სააგენტოს ლენტიდან

ამერიკული ფირმა „მხ ოილ“ საქართველოში ნავთობის მოპოვებას წლის ბოლოს დაიწყებს, — განუცხადა „საქმიანი საინფორმაციო სააგენტოს“ კორესპონდენტს დეპარტამენტ „საქნავთობის“ თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი პაპავამ. ამერიკელი სპეციალისტები რთულ რელიეფურ ადგილებზე — სამგორში, ნინოწმინდასა და რუსთავში — საბადოების ბურღვას ჰორიზონტალური მეთოდით შეასრულებენ. წინასწარი მონაცემებით აქ ნავთობის მარაგი ჯერ კიდევ არ ამოწურულა. პარალელურად მუშაობას დაიწყებენ მანავშიც, რომელიც ამ მხრივ, მეტად პერსპექტიული უბანია, თუმცა, იქ ჯერ ჭაბი არ გაბურღულა.

პაპავას განმარტებით ამერიკელ სპეციალისტებს განსაზღვრული აქვთ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც გეოლოგიური მონაცემები დიდ იმედს იძლევა, ახალი საბადოების აღმოსაჩენად აწარმოონ დამატებითი საძიებო სამუშაოები.

* * *

ამერიკის ხელისუფლება საქართველოში ენერგეტიკის განვითარებისათვის მიზნობრივ სესხს არ გაიღებს.

ამის თაობაზე საქენერგოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს განაცხადა ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში კენტ ბრაუნმა. მისი სიტყვებით საქართველოში ენერგეტიკის განვითარების პროექტს დააფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. თუმცა ამ პროექტის ხორციელებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ დასავლეთის მსხვილ კერძო ფირმებს. ამერიკელები უკვე მზად არიან საქართველოსათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად.

„საქენერგოში“ შეხვედრის შემდეგ კენტ ბრაუნი და მისი თანმხლები პირნი გარდაბანში, თბილისრესის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.

მომხმარებელს „საქგაზის“ ცხრა ტრილიონი კუპონი მართებთ. როგორც „საქმიანი საინფორმაციო სააგენტოს“ კორესპონდენტს დეპარტამენტ „საქგაზის“ თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ გაგუამ აცნობა, „საქგაზის“ ყველაზე მეტი 4,9 ტრილიონი კუპონი მართებს „საქენერგოს“. 1,9 ტრილიონი კუპონი — საწარმოო გაერთიანება „აზოტს“, 120 მილიარდი — პურპროდუქტების კორპორაციას, 174 მილიარდი — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, 455- მილიარდი — თბილისის მერიის საწარმოო დაწესებულებებს, 1,3 ტრილიონი კუპონი კი — მოსახლეობას.

* * *

საქართველო-ამერიკას შორის ხელმოწერილია შეთანხმება თბილისის აეროპორტის ფრენის მართვის სისტემების მშენებლობის თაობაზე. შეთანხმებას ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში კენტ ბრაუნმა და საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ.

როგორც საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალ კახიანმა „საქმიანი საინფორმაციო სააგენტოს“ კორესპონდენტს აცნობა, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევით ამერიკის ხელისუფლებამ თბილისის აეროპორტის ფრენის მართვის სისტემების მშენებლობის დასაპროექტებლად 300 ათასი დოლარი გამოყო, სამუშაოს შესრულება დაევალა ფირმა „ვესტინგჰაუზ ელექტრიკ კორ“-ს.

ექსპერტების აზრით, საავიაციო ტვირთის გადაზიდვა ყველაზე მეტ სავალუტო შემოსავალს იძლევა. ამიტომაც, ინტენსიური ფრენებისათვის საჭიროა ფრენების მართვის საიმედო თანამედროვე სისტემა.

ჯემალ კახიანმა ასევე გვაცნობა, რომ ივლისიდან, თბილისის აეროპორტიდან ორი ბოინგის ტიპის თვითმფრინავი იფრენს.

ისე აღზარდე შენ შვილის სული...

საქმე

მამულიშვილურ საქმეს აკეთებს ლაგოდეხის აგროსამრეწველო სასწავლო-სამეცნიერო კომერციული ინსტიტუტი (რექტორი დავით ბაინდურაშვილი).

უპირველესად უნდა აღინიშნოს საინგილოდან ჩამოსული ახალგაზრდების სწავლაში ჩაბმა, ხელის შეწყობა. აქამდე თუ ინგილო ახალგაზრდობა თავისუფლად ჩამოდიოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განათლების მისაღებად, ახლა, უტრანსპორტობის, ათასი ცხოვრებისეული პრობლემის გამო, ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, შეწყვეტილია, ამიტომ მისასალმებელია ლაგოდეხის ინსტიტუტის საქმიანობა ამ მიმართებით.

ლაგოდეხის ინსტიტუტში ამჟამად სწავლობს საინგილოდან ჩამოსული 39 ქართველი. უფრო მეტიც... ამ ინსტიტუტში სწავლობს 27 აზერბაიჯანელი, და, როგორც ვიცი, ძალიან ბევრია იქ სწავლის მსურველი საქართველოს მოსაზღვრე აზერბაიჯანის რაიონებიდანაც; ლაგოდეხის ინსტიტუტის უმაღლესი განათლების დიპლომს აზერბაიჯანშიც აღიარებენ.

როცა ბატონ დავით ბაინდურაშვილს ვკითხე, თუ რა პრინციპით ხდება აბიტურიენტების შერჩევა, მიპასუხა: — გამოცდები ტარდება ყველასათვის ერთნაირად, ქართულ და რუსულ ენებზე, ოღონდ, ჩარიცხვისას შედარებით შეღავათებს ვაძლევთ აზერბაიჯანიდან წამოსულ ქართველებს, მათ დადებითი ნიშნებიც ჰყოფნით.

ჩვენი საუბრიდან ნიშანდობლივად მეჩვენება ის, რომ ბატონმა დავითმა გამოკვეთილად გაუსვა ხაზი ინსტიტუტში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ძეგლების ისტორიის სწავლების აუცილებლობას. მისი აზრით, გარდა სოფლის მეურნეობის დარგებისა, აღნიშნული კურსების სწავლება განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ლაგოდეხის ინსტიტუტში სწავლას ისურვებს.

პრაქტიკული თვალსაზრისით ლაგოდეხი საქართველოს ის რეგიონია, სადაც მსოფლიოში ცნობილი ნაკრძალია და, სოფლის მეურნეობის დარგები ყოველთვის კარგად იყო განვითარებული, თანაც ლამის სუბტროპიკული ზონაა, ამიტომ სტუდენტებს პრაქტიკულად სხვა რეგიონებში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გასავლელად სიარული არც უწევთ, შეძლებისდაგვარად ყველაფრით ადგილზე არიან უზრუნველყოფილი.

როგორც ბატონმა დავითმა გვითხრა, მას დიდი მიზნები და პრობლემები აქვს. თუნდაც ის, რომ საჭიროა ლაგოდეხის ნაკრძალის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების სამკურნალწამლო თვალსაზრისით გამოყენება. ამისათვის კი დღის წესრიგში დგება ინსტიტუტში ფარმაკოლოგიის ფაკულტეტის გახსნის საკითხი, რომელსაც ექნება საკუთარი სასწავლო-საკვლევი ლაბორატორიები და სადაც პრიორიტეტული იქნება სამკურნალო მცენარეების სპეციალისტთა გამოშვება.

აღნიშნულის გარდა, ინსტიტუტიდან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მიზნობრივ ასპირანტურაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, გამოგზავნილი ჰყავთ 15 ახალგაზრდა სპეციალისტი, ხოლო სამომავლოდ შერჩეული ჰყავთ ცხრა კაცი. თვით ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად მოწვეული არიან სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები.

არ ვიცი, რამდენად გამოვხატე ამ მოკლე წერილში ლაგოდეხის აგროსამრეწველო სასწავლო-სამეცნიერო კომერციული ინსტიტუტის გაცნობით გამოწვეული შთაბეჭდილება, მაგრამ მწამს, რომ ინსტიტუტის კოლექტივი მოწადინებულია, კარგი სპეციალისტები აღზარდოს, მისცეს მათ კვალიფიციური განათლება, შთაუნერგოს ისტორიული სამშობლოს სიყვარული, ხოლო რაც შეეხება არაქართველებს, მათაც ასევე პროფესიული ცოდნის გარდა, შეასწავლოს საქართველოს ისტორია. ხომ ცნობილია ბრძნული ნათქვამი, იმის შესახებ, რომ ერი და ქვეყანა საკუთარი ისტორიითა და კულტურით ფასდებაო. და სწორედაც რომ კარგია ჩვენი მეზობლების ახალგაზრდობის თუნდაც მცირე ნაწილს გავაცნოთ და ვასწავლოთ ჩვენი ისტორია.

ამაში ვხედავ მთელი ინსტიტუტის, პირადად რექტორის — დავით ბაინდურაშვილის მისაბაძ მამულიშვილურ ქმედებას.

ჯაბა ონიანი.
პროფესორი.

ერთი წერილის კვალდაკვალ

როდემდე წინკარში, ძველმანებზე?!

თბილისელი მანანა რონინ-შვილი, მშვენიერი და გონიერი, დინჯი და ზრდილი ქალიშვილი მუდამ იპყრობდა ყურადღებას. ეს იყო თორმეტი წლის წინათ, ვიდრე დავით საგინაშვილს შეხვდებოდა. გია აბესაძის ქ. № 13 სახლის მობინადრეთა გადმოცემით (ეს მასალაც რედაქციაში მათ მიერ გამოგზავნილი წერილის საფუძველზე დაიწერა) მათი ქორწინება ორივესთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ცოლ-ქმარს შორის განუწყვეტელმა უსიამოვნებამ სამ მცირეწლოვან ბავშვს მკაცრი განაჩენი გამოუტანა. წელიწადნახევარია ისინი სურათზე აღბეჭდილ წინკარში ცხოვრობენ. იატაკზე დაყრილი ძველმანები 4, 8 და 11 წლის ბავშვების ლოგინია.

ვინ არის დამნაშავე? ბრალმდებლის ტვირთი მძიმე და პასუხსაგებია, ამიტომ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა მიგვაჩნია მიზანშეწონილად. იმათ, ვისაც სითბო და სიყვარული უშურველად უნდა გაეცათ, სიცივე და სიშიშვლე, შიმშილი და სიბინძურე არგუნეს პატარებს, მანანას მშობლები შვილის უბედურებას ემსხვერპლნენ: მამა გარდაიცვალა, დედა დაბრმავდა. ახლა კეთილი ადამიანები თუ პატრონობენ და გაიკითხავენ მამისა და ბებიის კართან უპატრონო ლეკვებივით დაყრილებს.

შემზარავი სურათია. ერთ დროს სულით ჯანსაღი, მშვენიერი, ამაყი ქალიშვილი ცემა-ტყეპის, ლანძღვა-გინების მიუხედავად კართან ჩაცუცქული, ერთგულად დარაჯობს ქმარს, მისი ჯანმრთელობისათვისაც კი ზრუნავს, ყველას უმტკიცებს ქმარს ვუყვარვარო.

დედამთილსაც ქება-ქებით იხსენიებს — ვიღაც აბელებს, თორემ იცით რა კარგი ქალიაო?

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს! (ვიმეორებ: არც ბრალმდებლის როლს ვკისრულობ და არც მორალის კითხვას ვაპირებ, მაგრამ, თბილი ლოგინიდან ფეხს რომ გადმოდგამ, გაკრიალებულ მაგიდასთან დანაყრდები, კარს გააღებ და დამშეულ, დაბინძურებულ, სიცხიან შვილებსა და შვილიშვილებს (ცოლსა და რძალზე არას ვამბობ) გადააბიჯებ ისე, რომ ნერვიც არ აგიტოკდება, რა სიყვარულზე შეიძლება ლაპარაკი?

ეს სურათი ფოტორეპორტიორმა თედო ნიკოლაიშვილმა მაშინ გადაიღო, როცა მანანა რონინ-შვილი თავისი შვილებით საპატრიარქოში სადილობდა. როდემდე შეიძლება იყოს ეს ფარღალალა წინკარი ოთხი ადამიანის საცხოვრებელი? ეს კითხვა უკვე დაისვა კრწანისის რაიონის სახალხო სასამართლოში. სარჩელის შეტანა მხოლოდ უჭეროდ დარჩენილი შვილების საცოდაობამ აფიქრებინა მანანას.

იმედია, მართლმსაჯულება თავის პასუხს კანონზე დააფუძნებს.

ლეილა კოშკაძე.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მოკამადჟავად მოკა[illegible]

ო, დაუბრუნდით სახარებას!

ირანის ისლამური რესპუბლიკა უთანაგრძნობს საომარ მდგომარეობაში მყოფ მუსლიმებს და აღმოუჩენს მათ მორალურ, პოლიტიკურ თუ მატერიალურ დახმარებას. ეს ლექსიც დაწერილია მაშინ, როცა სერბების მიერ განხორციელებული იერიშის შედეგად, ქალაქ გორაჟდეში, მრავალი უდანაშაულო მუსლიმი სამოქალაქო პირი დაიღუპა.

თქვენ სათნოება
ქრისტესაგან
ისწავლოთ უნდა...
იცით, თქვენ, ერთხელ,
ცოდვილმა ქალმა
ვით დაუბანა
მაცხოვარს ფეხი,
მერე კი თმების აბრეშუმით
ვით შეუმშრალა...
კდემა და რიდი
ღვთისმშობლისგან
ისწავლოთ უნდა...
იცით, თქვენ,
როგორ დაალწია
მან თავი ყოველს
და უდაბნოს გზას
დაადგა როგორ,
მერე კი სევდის თანაზიარად
ვით გაიხადა ხე პალმის ხმელი...
ჩვენ ქალებს უყვართ მარიამი,
ვით ქრისტეს დედა,
ვით ყურანის ერთ-ერთი სურა...
თქვენ არ დაინდეთ
პაწაწინა მუსლიმანები,
მაგრამ თქვენ ღმერთი
შეგინდობთ მაინც...
ჩვენც განგვიტევებს
უფალი ასე,
ცოდვილთ განკითხვა
არ წერია ჩვენს რჯულში რადგან...
ჩვენ მოთმინებით
აღგვავსებს ღმერთი,
და თუ ოდესმე
ერთმანეთს შევხვდით,
დიდსულოვნებას
გასწავლით მხოლოდ...
ო, დაუბრუნდით სახარებას,
რამეთუ რჯული ქრისტიანული
მხოლოდ სიყვარულს
ქადაგებს ქვეყნად...

სპარსულიდან თარგმნა
ნომადი ბართაიამ.

გაზეთი „ეთელაათი“, 1994 წლის 17 მაისი.

ჯერ კანონი, მერე — მეგობრობა

როგორც ჩვენი გაზეთი არაერთხელ იუწყებოდა, ბოლო წლების მანძილზე მჭიდრო, მეგობრული კავშირები დამყარდა თელავსა და გერმანიის ქალაქ ბიბერახს შორის. ურთიერთობა სულ უფრო ახალი ცხოვრებისეული წახნაგებით ივსება. აი, ერთ-ერთი მათგანი: ახლახან თელაველმა მოქალაქემ გერმანიიდან საფოსტო გზავნილი მიიღო, სასიამოვნო ამბის მოლოდინში გახსნა იგი, მაგრამ კონვერტში გერმანიის წესრიგის დამცველთა მიერ გამოწერილი ჯარიმის ქვითარი და მოკლე შეტყობინება დახვდა, რომელშიც ეწერა: ა. წ. 22 მარტს, 15 საათსა და 55 წუთზე, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე თქვენ გააჩერეთ მანქანა (ნომრები მითითებულია) აკრძალულ ადგილზე, ამიტომ ვალდებული ხართ გადაიხადოთ ჯარიმის სახით ათი მარკა.

როგორც იტყვიან, მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ კანონი ყველაფერზე მაღლა დგას. ამის გათვალისწინება და შეხსენება ნამდვილად ზედმეტი არ იქნება ჩვენი მოქალაქეობისთვისაც და კანონის დამცველებისთვისაც.

ზურაბ არსენიშვილი.

ინფორმაცია

გამოვიდა გაზეთი „ზუგდიდის უნივერსიტეტი“

მართალია, დღეს საქართველოში გაზეთების ნაკლებობა არ არის, მაგრამ გაზეთ „ზუგდიდის უნივერსიტეტის“ გამოსვლა, მაინც აუცილებელი იყო. იგი გააშუქებს ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საქმიანობას, წარმოაჩენს სამეცნიერო-სასწავლო პროცესებს, ხელს შეუწყობს ჩვენი ერის გამთლიანებას, საზოგადოებრიობის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წინსვლას.

მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით

ხარაგაულის რაიონის მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით ამ დღეებში რაიონის წარმოება-დაწესებულებებს, საავადმყოფოს, მრავალშვილიან დედებს, ეკონომიურად ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს, ჰუმანური დახმარების სახით, დაურიგდათ ერთჯერადი შპრიცები.

მიეძღვნა სპორტსმენის ხსოვნას

ქართული სპორტული სამყაროდან უდროოდ წასული სამოციანი წლების ლეგენდარული ფეხბურთელის გივი ჩოხელის დაბადების 57 წლისთავს მიეძღვნა თელავში გამართული ღონისძიება. იგი გამართა სპორტის ვეტერანთა, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რაიონულმა ასოციაციამ.

ფეხბურთის ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო გივი ჩოხელის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, ხოლო შემდგომ თბილისის „დინამოს“ 60-იანი წლების ოსტატ ფეხბურთელთა და თელავის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა ამხანაგური მატჩი.

ხელყუმბარასთან თამაში საშიშია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბანში მცხოვრებ ომარ სიხარულიძის შვილებს ქეთევანს და ზურაბს თამაშის დროს აუფეთქდათ ხელყუმბარა. აფეთქების შედეგად ორივე მოზარდი ადგილზე გარდაიცვალა.

მოიპარეს პლატინის ბადე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 27 ივნისს რუსთავში საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ერთ-ერთი საამქროს საკონტაქტო აპარატიდან, რომელიც წლევანდელი 16 მაისიდან გაჩერებულია, მოიპარეს პლატინის ბადე, რომლის წონა შეადგენს 19716 გრამს, საერთო ღირებულება კი — 26,084000 რუბლს.

ინსტრუქციის დაურღვევლად

ორგანიზებულად დაიწყო გამოცდები თბილისის 116-ე საშუალო სკოლაში. დროულად შეადგინეს გამოცდების ცხრილი, ბავშვებისათვის მოეწყო კონსულტაციები, გამოცდებზე ყველა უკლებლივ გამოცხადდა. განათლების სამინისტროს მეთოდცენტრის წარმომადგენლის ლილი გიორგობიანის აზრით, სკოლაში ინსტრუქციის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა და, საერთოდ, გამოცდებზე შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა.

წლეულს სკოლის ოთხი გამოსაშვები კლასის 85 მოსწავლე მიიღებს სიმწიფის ატესტატს.

გამოცდები 30 ივნისს დამთავრდება.

იბერია.

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. დედაქალაქში უკვე მზადაა 10 აფთიაქი, სადაც მოსახლეობა მიიღებს საქართველოში ჰუმანური სახით შემოსულ მათთვის საჭირო მედიკამენტებს. აფთიაქები რამდენიმე დღეში ამოქმედდება. მოსახლეობა მედიკამენტებს მიიღებს მხოლოდ ადგილობრივი პოლიკლინიკების მიერ გაცემული რეცეპტებით.

გელით კულტურის ინსტიტუტი

მიზანი — ლიტერატურული დაოსტატება

წლეულს კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში სტუდენტთა მიღება იწარმოებს ახალ სპეციალობაზე, რომელსაც ლიტერატურული დაოსტატება ჰქვია. იგი აქამდე არ არსებობდა არც სახელმწიფო და არც კერძო უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ზურაბ ფანჯიკიძეს.

— რამ გამოიწვია ამგვარი სპეციალობის დაარსების აუცილებლობა და რა მიმართულებით წარიმართება სწავლება აღნიშნულ სპეციალობაზე?

— ამ სპეციალობის შემოღების ინიციატივა მწერალთა კავშირიდან მოდის, რასაც დიდი ინტერესით მოეკიდა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი ბატონი თემურ ძლენტი. განხორციელდა ორგანიზაციული ღონისძიებები. ახლა ინსტიტუტში ყველაფერი მზად არის მისაღები გამოცდებისათვის და აბიტურიენტებმა უკვე საბუთების შეტანაც დაიწყეს.

რაც შეეხება ამ სპეციალობის მიზანდასახულობას, მიგვაჩნია, რომ იგი აუცილებელია ლიტერატორთა პროფესიული კადრების მომზადებისათვის, ბუნებით ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს უნდა მიეცეს საშუალება, რომ დროულად და მაღალ დონეზე შეიძინოს თეორიული ცოდნა, დაეუფლოს ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის თავისებურებებსა და სამწერლო ლაბორატორიას, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს, როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურა, მიიღოს ზოგადი ჰუმანიტარული განათლება.

ამგვარი ცოდნის შეძენა თვითგანსწავლით ძალზე ძნელია. ლიტერატურული დაოსტატების ფაკულტეტზე წაიკითხავენ ისეთ სპეციალურ დისციპლინებს, რომლებსაც არ ასწავლიან ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე. სწავლება, ზოგადი ჰუმანიტარული დისციპლინების გარდა, ჩატარდება სახელოსნოს პრინციპით: ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც ამ სპეციალობაზე ჩაირიცხებიან, სისტემატური კონტაქტები ექნებათ თანამედროვე ქართული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენლებთან, რომლებიც გაუზიარებენ თავიანთ შემოქმედებით გამოცდილებას და ლიტერატურული ოსტატობის საიდუმლოს.

ვფიქრობთ, ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ამ სპეციალობას დაამთავრებენ, მოგვევლინებიან ჩამოყალიბებულ, პროფესიონალ ლიტერატორებად, პროფესიონალიზმის მიუღწევლად კი დღეს წარმოუდგენელია ნებისმიერი დარგის, მათ შორის ლიტერატურის განვითარება.

— რა სპეციალობას მიიღებენ და როგორ მოხერხდება ამ კონტინგენტის დასაქმება?

— ახალგაზრდებს, რომლებიც ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობაზე ისწავლიან, მიეცემათ ლიტერატურული რედაქტორის კვალიფიკაცია, მათ შეუძლიათ იმუშაონ გამომცემლობებში, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიის მხატვრულ გადაცემათა რედაქციებში, ერთი სიტყვით, სადაც პროფესიონალი ლიტერატორის საჭიროება იქნება მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ ახალგაზრდებისათვის ძირითადად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა იზრუნებს. ყველაფერს გავაკეთებთ მათი არა მარტო დასაქმებისათვის, არამედ ლიტერატურაში დამკვიდრებისათვის, მათი სახით ხომ ქართული მწერლობის ახალი ცვლა მოდის.

ცნობისათვის გეტყვით, რომ წლეულს ნავარაუდევია 10 ახალგაზრდა მწერლის მიღება, რომლენიც წინასწარ გაივლიან შემოქმედებით ტურს და მხოლოდ მწერალთაგან შემდგარი კომისიის რეკომენდაციით დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე.

ახლა, როგორც ინსტიტუტის რექტორატის, ასევე ჩვენი საზრუნავია, **ობიექტურად შეირჩეს** ის ათი ახალგაზრდა ლიტერატორი, რომლებიც ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობის პირველი მსმენელები გახდებიან.

„მინდა, დაგეხმარო!“

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“

არის აზრები, რომლებიც ადამიანს თავად წარმართავენ და სულ ერთია, სურს თუ არა, მის გონებაზე მბრძანებლობენ. თბილისელ პროფესორს ვალერიან გელაშვილს, ინჟინერს, თენგიზ გელაშვილს, დამსახურებულ ეკონომისტს, მოხევე ლადო გელაშვილს, ასეთი აზრი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაუჩნდათ: გელაშვილთა საგვარეულო საზოგადოების შექმნა გადაწყვიტეს.

არა ერთმანეთის მოსანახულებლად, არა სალაღობოდ და დროის მოსაკლავად, არამედ — საქმისათვის.

რა საქმე შეუძლია გააკეთოს დღეს ასეთმა საზოგადოებამ?

დიდი საქმე! — დაბეჯითებით ამბობენ ინიციატორები.

გელაშვილი საქართველოში, თურმე, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია: 200 ათასამდე კაცს აღწევს.

200 ათასმა კაცმა თუ მოვინდომეთ, რას არ გავაკეთებთო, ამბობენ.

ბევრის გაკეთება გადაუწყვეტიათ.

გელაშვილთა საგვარეულო საზოგადოება „გელათის“ წესდებაში წერია: „მიზნები და ამოცანები: შეუნელებელი ზრუნვა საგვარეულოს ზნეობრივი სიწმინდის ამაღლებისა და გვარში წესრიგისა და გერგილიანობის განმტკიცების, საგვარეულოს თითოეული წევრის შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის, სრულიად საქართველოს სულიერი, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და ეკონომიკური აღორძინებისათვის...“

წესდებაში კიდევ ბევრი რამ წერია. კერძოდ, ის, რომ „გელათის“ უმთავრესი ამოცანაა სამშობლოს მთლიანობის დაცვა, საზოგადოების დევიზია: — „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“

ერთი სიტყვით, დიდი მიზნები აქვთ. პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მიმდინარეობს საზოგადოების სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციების დაფუძნება, ქვრივ-ობლების, გაჭირვებულების, დავრდომილების მოძიება და დახმარება. საზოგადოებას ანგარიში აქვს გახსნილი „სამეფო ბანკში“. ანგარიშის ნომერია — სამოქალაქო — № 070 245, სავალუტო მიმდინარე ანგარიში — 000700337. შემოვიდა პირველი შემოწირულობები. დაეხმარნენ მრავალშვილიან ოჯახებს. კიდევ ბევრი ჰყავთ მისახედი. აფხაზეთიდან დევნილი 150 გელაშვილი უსახლკაროა. არიან მოხუცები, მარტოხელები, ავადმყოფი ბავშვები.

მარტო შემოწირულობების იმედით ვერ იქნებიან. საზოგადოების ფულადი სახსრები შედგება ყოველთვიური საწევრო შენატანებისაგან, წევრად მიღების გადასახადისაგან. განზრახული აქვთ გამოფენა-გაყიდვების, აუქციონების, საკონცერტო სანახაობების მოწყობა, სამეურნეო, საგამომცემლო საქმიანობა და სხვა.

დღეს კი 200 ათასი გელაშვილი, რომ იტყვიან, ფეხზე დგას. მათი სურვილია — „მინდა, დაგეხმარო!“.

მზია გელენავა.

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატზე

ევროპელებმა იძალეს

როგორც მოსალოდნელი იყო, მერვედფინალისტთა რიგებს „C“ ჯგუფიდან შეუერთდნენ გერმანია და ესპანეთი. „აზიურ გამოცანას“ — კორეას, წინასწარი ეტაპის დასკვნით შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონებთან (კორეა) დააკლდა ესნა თითქმის უიმედო მატჩი, შესაშური ბრძოლისუნარიანობით მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა ანგარიშში და თავაწეული დაემშვიდობა ამერიკას.

„C“ ჯგუფი

ჩიკაგო. ბოლივია (სანჩესი) — ესპანეთი (გვარდიოლა, კამინერო-2) 1:3.

დალასი. გერმანია (კლინსმანი-2, რიდლე) — კორეა (ხვან სინ ხონი, ხონ მიუნ ბო) 3:2.

საბოლოო მდგომარეობა: გერმანია-7, ესპანეთი — 5, კორეა — 2, ბოლივია — 1 ქულა.

ბომბარდირთა დავას ახალი ლიდერი ჰყავს — 4 გატანილი ბურთით დაწინაურდა გერმანელი იურგენ კლინსმანი.

„დურუჯი“ უძლიერესთა შორის

ყვარლის „დურუჯი“ (მთავარი მწვრთნელი — ოთარ გაბელია) მორიგ ეროვნულ ჩემპიონატში პირველ ჯგუფში იასპარეზებს. ეს უფლება ამ გუნდმა გადამწყვეტ მატჩში თბილისში სენაკის „იმერის“ დამარცხებით მოიპოვა — 1:0.

გატაცება

აზრისა და სიტყვის ჭიდილში

ახლის დანახვა მხოლოდ ხედვის წერტილის შეცვლას ძალუძს!

ზოგჯერ სადაც არ ელოდები, ისეთ ფრაზას მოჰკრავ ყურს, გაოცდები და მერე დიდხანს აღარ გავიწყდება. ისეც ხდება რომ „ფანატიკოსები“ ასეთ გამონათქვამებს უბის წიგნაკშიც საგანგებოდ იწერენ, აგროვებენ და მერე წლობით დარბიან გამომცემლობებში, როგორმე ეს ხალხური სიბრძნე იმავე ხალხს არ დაუკარგონ, ზოგიც თავისივე ნააზრევს ინიშნავს, ხვეწს, წლობით შეძენილ გამოცდილებას უზიარებს სხვებს. „პასუხის გაცემა ყველაზე მეტად ბრძენს უჭირს“: ამ სიტყვების ავტორიც ჩვენი თანამედროვეა. ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ქმნის, აწყალის და სიკეთეს თესავს, შარლ ჯანჯღავას შესახებ ქართულ პრესაში ბევრჯერ დაიწერა. იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტია, ფიზიკის კათედრაზე კითხულობს ლექციებს. ამას გარდა შარლი ჯანჯღავას მეხსიერების გაუმჯობესების და ინგლისური ენის შესწავლის საკუთარი მეთოდი აქვს.

იგი აფორიზმებსაც წერს, ეფერება ქართულ სიტყვას, ფიქრობს მის ყოველ ნიუანსზე. ამ ცოტა ხნის წინათ მისი პატარა აფორიზმების კრებული „კვალიც“ გამოვიდა. მაგრამ ყველაფერი მაინც არ თქმულა, ვერც ითქმება. ყველაზე კარგად მასზე მისივე სტრიქონები საუბრობენ, რომლის ერთ მცირე ნაწილსაც აქვე გთავაზობთ:

სამშობლო ერთადერთია ნიშნავს მხოლოდ ის გაძლევს უფლებას იყო ტოლი ტოლთა შორის და მშობლიური უწოდო სამყოფელს.

ზესასრულობის მპყრობელ სამყაროს არა აქვს უნარი დაიწყების, დამთავრების, დაწყების უკუსვლის, დანდობის მოსპობისა თუ უმიზეზოდ არსებობის, როგორც ყოველივეს მიზანდასახულობით შექმნილს.

ხრსი ეკარგება მდინარეს ზღვას შეერთებულს.

აუცილებლად დაგეწევა წარსული, თვისება აქვს ასეთი მომავალს წარსულზე აღმოცენებულს.

შეუძლებელია სამყაროს ჰქონდეს რიგგარეშე ან შემთხვევითი სვლა, ამიტომ ყოველი ცვლილება მიზნით განპირობებული წინსვლაა, მათ შორის ისიც, რასაც ადამიანი ნგრევა-შენებას უწოდებს.

მხოლოდ მშობლიურია საკუთარი შენი, უახლოესიც კი არსით არის დაშორებული მისგან, რადგან შენ შენი მშობლის გაგრძელება ხარ, უახლოესი კი სხვა მშობლისა.

ახლის დანახვა, მხოლოდ ხედვის წერტილის შეცვლას ძალუძს.

ცვლილების მიზეზს ძალა ჰქვია მამოძრავებელი.

რიგით განსაზღვრული თანამიმდევრობა, აი რა აჩუქა ღმერთმა უსასრულო სამყაროს.

თუ ბუზმა მერცხლის კუჭში დაამთავრა არსებობა, ეს ნიშნავს, რომ მისი ცხოვრება ამ მიზნისთვის იყო გათვალისწინებული.

არისტოტელეს აზროვნების გამოყენებისათვის მაკედონელობაა საჭირო.

საკუთარი აქვთ სიმართლე სიკეთესაც და ბოროტებასაც, რადგან საკუთარი მიზეზი აარსებებს მათ.

იმავემ შექმნა ნაყოფი, რამაც ფესვი.

ბატკანი და მგელი ორივე შვილია ბუნების, ერთნაირი აქვთ არსებობის უფლებამოსილება, მაგრამ დანიშნულება აქვთ სხვადასხვა და ამიტომ განსხვავებული ძლიერებაც.

არსებობს ბუნების კანონი — ნიშნავს ნებისმიერი დიდად თუ მცირედ აღქმული სხეული თუ პროცესი, სამყაროს განუყოფელი ნაწილია და მათი შექმნის მიზეზი, მიზანი, მოქმედება თუ არსებობა კანონზომიერებით არის განპირობებული და ამიტომ ყოველი მათგანი საკუთარი შესრულებით ზღვარდადებული.

თუ გსურს ჭეშმარიტება შეიგრძნო, უსმინე სიჩუმეს, არსი აღიქვი მისი, იგი შეგახებს ზეხილვას.

მხოლოდ ჰგონიათ, როცა ჰგონიათ, რომ ცხოვრება ადვილი იყო გუშინ და ადვილი იქნება ხვალ. გუშინდელი ხომ უნაშთოდ არის გადმოღვრილი დღევანდელში.

ერებს შორის განსხვავებას მათი გმირების შედარება იძლევა.

არაფერი აქვს საკუთარი სხვისი აზრით მოაზროვნეს.

გამარჯვებული სიმართლე ცალკე არავის უნახავს რადგან გამარჯვებას სდევს იგი ყოველთვის თან.

აზროვნებისა თუ მზის სხივის წარმოსაქმნელად, წარსულის მომავლად გარდასაქმნელად და თვით ძალის შესაქმნელად მიზეზია საჭირო, უფრო დიდი ვიდრე ძალაა.

* * *

უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ მისი სიტყვების არსს, აქ შევწყვეტ ციტირებას და ერთი კითხვით მივმართავ ამ აფორიზმების ავტორს:

— ბატონო შარლ, თქვენი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ჩემთვის საინტერესო იქნება, მაინც რის აღქმას ინატრებდით.

— სხვადასხვა ატომთა გარკვეული კანონზომიერებით შექმნილი ზოგიერთი ერთობლიობა ტვინსა ქმნის, ზოგი ფილტვებს, ზოგი რკინას, ზოგი ოკეანეს, ზოგი მზეს და ზოგიც რას... რას იძლევა ციურ სხეულთა სხვადასხვა ერთობლიობათა განლაგება ნეტავ?

საინტერესოა, ციურ სხეულთა სხვადასხვა ერთობლიობათა განლაგება რას იძლევა ჩემთვის, ალბათ, ბოლომდე გაურკვეველი დარჩება, მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ვინც ასე თავისებურად აღიქვამს სამყაროს, თუ ერთ დიდ წიგნს შექმნიან, ნამდვილად არ იქნება ურიგო, ავტორებს, ვისაც ასეთი წიგნის შექმნის სურვილი აქვთ, შეუძლიათ ბატონ შარლს დაურეკონ: 87-05-47.

შოთა იმერლიშვილი.



შოთა ქარუხნიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი შოთა ქარუხნიშვილი.

შოთა ქარუხნიშვილმა გიორგი ტოვსტონოგოვის და დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით დაამთავრა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შ. ქარუხნიშვილი შევიდა მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე და წარმატებით დაამთავრა იგი გამოჩენილი რეჟისორის და პედაგოგის ა. პოპოვის ხელმძღვანელობით. მისი პირველი რეჟისორული დებიუტი გაიმართა ლატვიაში, რიგის რუსულ დრამატულ თეატრში, სადაც დადგა მ. გორკის „მოაგარაკენი“. სპექტაკლმა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

შოთა ქარუხნიშვილი 1957 წელს დაბრუნდა საქართველოში და გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში დაიწყო მუშაობა მთავარ რეჟისორად. მისი სპექტაკლები გამოირჩეოდა ღრმა პროფესიონალიზმითა და რეჟისორული გამომგონებლობით, მსახიობთან მუშაობის უნარით.

1959 წელს შოთა ქარუხნიშვილმა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში განახორციელა გრიგოლ აბაშიძის ლეგენდა პირველ თბილისელებზე — დრამატული პოემა „მუმლი მუხასა“, წარმატებით განახორციელა შ. ქარუხნიშვილმა თბილისის გრიბოედოვის რუსულ თეატრში ეზოპეს „მელა და ყურძენი“.

შ. ქარუხნიშვილმა საქართველოში ტელევიზიის ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან დაიწყო მუშაობა ტელევიზიაში ჯერ რეჟისორად და შემდეგ მთავარ რეჟისორად. მრავალი საინტერესო გადაცემაც მოამზადა. მოღვაწეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში და რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

1970 წლიდან შოთა ქარუხნიშვილი მოსკოვშია, ცენტრალური ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატულ რედაქციაში, მაგრამ კავშირი სამშობლოსთან არ გაუწყვეტია.

ღირსეული და კეთილშობილი მოქალაქის, უპრეტენზიო შემოქმედის, პრინციპული და ჭეშმარიტი პროფესიონალის შოთა ქარუხნიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობენ რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს კარლო დოლიძეს მეუღლის

ეთერ ბუზელაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი

ფილიპე მელქისედეკის ძე მახარაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



იყიდება წყლის ელექტროგამაცხელებელი 100 ლიტრიანი, თერმორეგულატორითა და თერმომეტრით, 1,2 კილოვატის სიმძლავრით.
ფასი 130 დოლარი
მოგვმართეთ: თბილისი, წერეთლის გამზირი 95-ა. სპორტული მანეჟი. ტელ: 34-77-09, 34-42-91.

ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ!
იყიდება ნათურები
100 და 75 ვატ.
ფირმა „დომინო“,
ტელ: 35-12-82.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს
თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. დღის სწავლების განყოფილება
I. ბიოქიმიური წარმოება
სპეციალიზაცია:
ა) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება (9 კლ. ბაზა);
ბ) სპირტისა და ლიქიორ-არაყის წარმოება (11 კლ. ბაზა);
2. ორგანულ ნივთიერებათა და მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმიური ტექნოლოგია (11 კლ. ბაზა).
3. დაკონსერვების ტექნოლოგია (11 კლ. ბაზა).
4. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე (9 კლ. ბაზა).
5. ელმოწყობილობა და საავტომობილო გზების მშენებლობა, ექსპლოატაცია და შეკეთება (9 კლ. ბაზა).
6. ავტომობილების და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (11 კლ. ბაზა).
7. ვაჭრობის ორგანიზაცია და სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა (11 კლ. ბაზა).

II. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება
1. ბიოქიმიური წარმოება
სპეციალიზაცია:
ა) სპირტისა და ლიქიორ-არაყის წარმოება (11 კლ. ბაზა)
2. დაკონსერვების ტექნოლოგია (11 კლ. ბაზა)
3. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე (11 კლ. ბაზა)
4. ელმოწყობილობა და საავტომობილო გზების მშენებლობა, ექსპლოატაცია და შეკეთება (11 კლ. ბაზა)
5. ავტომობილების და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (11 კლ. ბაზა).
6. ვაჭრობის ორგანიზაცია და სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა (11 კლ. ბაზა)

კოლეჯი სახელმწიფო დაწესებულებაა და სწავლება სახელმწიფო ხარჯზე მიმდინარეობს.
სწავლის ხარისხის მიხედვით თითოეული მოსწავლის თვიური სტიპენდია დღევანდელ მდგომარეობით შეადგინეს 30 000-დან 35 000 კუპონამდე, შემდგომში ხელფასის მომატებასთან ერთად, შესაბამისად გაიზრდება სტიპენდიაც.

კოლეჯში აგრეთვე ფუნქციონირებს ფასიანი სწავლების განყოფილება ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სპეციალობაზე 9 და 11 კლ. ბაზაზე, სადაც მოსწავლეების ჩარიცხვა ხდება გასაუბრების წესით. ფასიან სწავლებაზე ჩარიცხულნი გადაიხდიან სწავლების ყოველწლიურ საფასურს, რომელსაც განსაზღვრავს კოლეჯის ადმინისტრაცია.
კოლეჯში ექსპერიმენტის წესით 2 სპეციალობაზე: 1) ბიოქიმიური წარმოება, 2) გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე მიმდინარეობს მაღალგანვითარებული დონის სპეციალისტების მომზადება კოლეჯის პროგრამით, რომლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ მათ ენიჭებათ უმცროსი ინჟინრის კვალიფიკაცია.
აბიტურიენტთაგან საბუთების მიღება წარმოებს 20 ივნისიდან 14 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 16 საათამდე.
მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-დან 20 აგვისტომდე.

იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებზე მომზადების დაბალ დონეს გამოამჟღავნებენ, შესაძლებელია საბუთების მიღება გაგრძელდეს შემდგომ ეტაპზე 15-დან 30 სექტემბრამდე.

კოლეჯში შემომსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, ჯანმრთელობის ცნობა (ფ. 086 უ), 6 ფოტოსურათი (3X4), შემსვლელი პასპორტს (დაბადების მოწმობას) და სამხედრო დოკუმენტს წარმოადგენს პირადად.
კოლეჯში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:
1. არასრული საშუალო სკოლადამთავრებულნი (9 კლ. ბაზა):
1. მათემატიკა — ზეპირი;
2. ქართული ენა — (წერა) — წაკითხული ტექსტის შინაარსი.
2. საშუალო სკოლადამთავრებულნი (11 კლ. ბაზა):
1. ქიმია — (ზეპირი) — „ბიოქიმიური წარმოების“, „ორგანულ ნივთიერებათა და მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიური ტექნოლოგიის“, „დაკონსერვების ტექნოლოგიის“ და „ვაჭრობის ორგანიზაციის და სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობის“ სპეციალობებზე;
2. მათემატიკა — (ზეპირი) — ყველა დანარჩენ სპეციალობაზე;
3. ქართული ენა და ლიტერატურა — წერა (თხზულება) ყველა სპეციალობაზე.

თქვენთვის საინტერესო დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებზე: 62-34-63; 62-63-06; 62-25-73; 62-35-10 ან მობრძანდეთ მიმღებ კომისიაში ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე (გარდა კვირისა).

მისამართი: თემქის დასახლება, მე-11 მიკრორაიონი, III კვარტალი თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი
ტრანსპორტი: მეტრო სადგური „თემქა“, ავტობუსი: 103, 10, ტროლეიბუსი: 3, 4.

კოლეჯის მიმღები კომისია

გიწვევთ სასწავლებლად!
საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას
იურიდიულ, ეკოლოგიის, სამედიცინო ეკოლოგიის, საქართველოს ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ტურიზმის, ეკონომიკისა და პედაგოგიკის სპეციალობებზე.
გამოცდები მოეწყობა ტესტირების წესით.
საბუთები მიიღება 25 ივლისამდე,
გამოცდები — 25-30 ივლისს.
უნივერსიტეტის მისამართია:
თბილისი, დოლიძის ქუჩა №3.
ტელ: 36-11-42.

ქ. თბილისის საბანკო ინსტიტუტი
აცხადებს აბიტურიენტების მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობაზე —
საბანკო საქმე და კრედიტი.
შესაბამისად, ინსტიტუტი ამზადებს:
ბანკის მენეჯერს, ბანკის ბუღალტერს, საგარეო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობის ეკონომისტს
სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი.
აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ:
1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. საშუალო განათლების ატესტატი (დიპლომი);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 080);
5. ოთხი ცალი ფოტოსურათი (3X4);
6. პასპორტი და სამხედრო ბილეთი, ან ამონაწერის მოწმობა.
საბუთები მიიღება 20 ივნისიდან 25 ივლისამდე 11 სთ-დან 17 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), ჩარიცხვა-უგამოცდოდ, ატესტატის ნიშნების მიხედვით.
ჩარიცხვა მოხდება 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე.
სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.
ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, კიევის ქ. № 4
(30-ე საშუალო სკოლის შენობა).
ინსტიტუტის სამდივნო: ტელ: 96-36-41.
რექტორატი



იყიდება
ავტომანქანა „ფიატ ტემპრა Sx“,
1994 [illegible]
[illegible] 10 000 [illegible]
ტ. 98-68-55

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ სჭირდება კვალიფიციური მემანქანე. დარეკეთ 98-27-58.

შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 ივლისს.
ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.